Funded by the European Union
EU4Culture



# შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფუნქციადაკარგული შენობების კატალოგი

ზუგდიდის შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა EU4Culture პროექტის ფარგლებში შემუშავდა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საქართველოში გოეთეს ინსტიტუტისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. აღნიშნული კვლევის შინაარსი და მასში წარმოდგენილი მასალა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის თვალსაზრისს.

# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების რუკა



# შინაარსი


1. კონტექსტი 4
2. პროექტის სამუშაო ჩარჩო 5
3. ადგილობრივი კონტექსტი 6
4. მოქმედი და დაგეგმილი მულტიფუნქციური სივრცეები 7
5. შემდგომი საჭიროებები 8
6. დასკვნები და რეკომენდაციები 9
    6.1 ძირითადი ხედვები და რეკომენდაციები 9
    6.2 შერჩეული ობიექტების განვითარების ხედვა 12
7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფუნქცია დაკარგული შენობების კატალოგი 18

სტამბის შენობა ზუგდიდში 19
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I და II კორპუსები ზუგდიდში 20
პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა ზუგდიდში 21
საავადმყოფოს შენობა კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი 22
სარეაბილიტაციო ცენტრი კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი 23
სპორტკომპლექსი კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი 24
საბჭოს შენობა ანაკლიაში 25
კლუბ-კანტორის შენობა ახალკახათში 26
სასაწყობო შენობა განმუხურში 27
საბავშვო ბაღის შენობა განმუხურში 28
მეურნეობის შენობა განმუხურში 29
კოოპერატივის შენობა ზედაეწერში 30
აუზის შენობა ზედაეწერში 31
სოფლის კლუბის შენობა კახათში 32
ამბულატორიის შენობა კახათში 33
კულტურის სახლის შენობა ნარაზენში 34
კოოპერატივის შენობა ოდიშში 35
კანტორის შენობა ორსანტიაში 36
პროფკავშირების კულტურის სახლის შენობა ორსანტიაში 37
რესტორნის შენობა რუხში 38
ადმინისტრაციული შენობა ტყაიაში 39
სასურსათო მაღაზიის შენობა ჭკადუაშში 40
კულტურის სახლის შენობა ჭკადუაშში 41
კულტურის სახლის შენობა ჯიხაშკარში 42
სავაჭრო ცენტრის შენობა ჯიხაშკარში 43
კოლმეურნეობის შენობა ჯუმში 44
გამოყენებული მასალა 45
მონაცემთა ბაზა 46

# 1 კონტექსტი



ევროკავშირის EU4Culture პროექტისა და ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, ააიპ „ქრიეთივ სპარკ"-მა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, 2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის იანვრის მონაკვეთში განახორციელა ზუგდიდის შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზუგდიდის შემოქმედებითი სივრცეების პოტენციალის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მათი განვითარება/შექმნისათვის. ეს სამომავლოდ შესაძლებელს გახდის იდენტიფიცირებული, ფუნქცია დაკარგული შენობების/ინფრასტრუქტურის შემოქმედებით სივრცეებად გარდაქმნასა და განვითარებას. პროექტი და მისი შედეგები მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადგილობრივ დონეზე შემოქმედებითი კლასტერების[1] მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის.

პროექტის ამოცანას წარმოადგენდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იმ რეალური პოტენციური ობიექტების გამოვლენა და აღწერა, რომლებიც სამომავლოდ შესაძლებელია მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცეებად გარდაიქმნას; აღწერილი ობიექტების მონაცემთა ბაზის შექმნას, და არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, გზამკვლევის სახით, რეკომენდაციების შემუშავება, იდენტიფიცირებული ობიექტების შემდგომი განვითარების შესაძლო მიმართულებებისა და სამომავლოდ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის მიზნით.

წინამდებარე გზამკვლევში მოცემული რეკომენდაციები ეყრდნობა და თანხვედრაშია ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიასა (2022-2026) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიასთან (2019-2022), ასევე ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, შესაბამისად ეფუძნება პარტნიორობას და გათვალისწინებულია სხვადასხვა, დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა და თანამშრომლობა.



[1]"შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ" გზამკვლევის მიხედვით: "შემოქმედებითი კლასტერი არის გეოგრაფიულად ერთ სივრცეში თავმოყრილ სხვადასხვა ორგანიზაციის ერთობლიობა, რომლებიც თავიანთ აქტივებსა და კომპეტენციებს ერთმანეთს უთავსებენ და აერთიანებენ ადგილობრივი რესურსების მოძიებისა და გამოყენების მიზნით. არ არსებობს შემოქმედებითი კლასტერის აღმნიშვნელი რომელიმე ერთი აღიარებული განსაზღვრება."

# 2 პროექტის სამუშაო ჩარჩო

პროექტი განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ “ქრიეითივ სპარკის” მჭიდრო თანამშრომლობით. საწყის ეტაპზევე განისაზღვრა პროექტის გუნდი, რომელიც დაკომპლექტდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპ “ქრიეითივ სპარკისა” და მოწვეული ექსპერტებისაგან; განისაზღვრა მათი ფუნქცია და მოვალეობები; დადგინდა სამუშაოს განხორციელების საჭიროებები და განრიგი.

პროექტით დასახული ამოცანების ეფექტურად შესრულების მიზნით, საწყის ეტაპზევე, პროექტში ჩართული ექსპერტების დახმარებით, შემუშავდა ის კრიტერიუმები და პარამეტრები, რომლის მიხედვითაც უნდა შერჩეულიყო სამიზნე ობიექტები და განხორციელებულიყო ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული უფუნქციოდ დარჩენილი შენობების ინვენტარიზაცია (მაპპინგ). ასევე, შემუშავდა სააღრიცხვო/საინვენტარო ბარათის ნიმუში, რომელშიც შევიდა ინფორმაცია მათ მდებარეობასთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან და სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, განისაზღვრა ის სამიზნე ობიექტები, რომლებიც შეესაბამებოდა შემდეგ მინიმალურ კრიტერიუმებს:

- ძირითადად გამოუყენებელი, ფუნქციადაკარგული სივრცე;
- შენობის მინიმალური საერთო ფართი - 300 კვ.მ;
- მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი ფიზიკურ მდგომარეობაში;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით ადვილად ხელმისაწვდომი.

პროექტის შემდეგ ეტაპზე განხორციელდა იდენტიფიცირებული ობიექტების შესახებ არსებული მონაცემების შეფასება, განისაზღვრა მათი მდებარეობა რუკაზე, გადამოწმდა მისამართები და საკადასტრო მონაცემები, მოხდა განისაზღვრა საველე სამუშაოების კალენდარისა და მარშრუტების განსაზღვრა, რომლის შესაბამისადაცფარგლებშიც განხორციელდა იდენტიფიცირებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაცია წინასწარ შემუშავებული სააღრიცხვო ბარათების მიხედვით. საველე სამუშაოების ფარგლებში, მოხდა წინასწარ იდენტიფიცირებული შენობების ადგილზე შეფასება. გარკვეულ შენობათა შიდა სივრცის სრულყოფილი დათვალიერება ვერ მოხერხდა, შენობის მდგომარეობის, ან/და საკუთრების ფორმის გათვალისწინებით.

საველე სამუშაოებით მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომლის განახლებაც, სურვილისა და საჭიროებისამებრ, შესაძლებელი იქნება მომავალშიც.

პროექტის დასკვნით ეტაპზე, პროექტის გუნდის მიერ მოხდა შეგროვებული მასალის დამუშავება და ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა პოტენციური ობიექტები და შემუშავდა სამომავლო რეკომენდაციები, რაც ასახულია წინამდებარე გზამკვლევში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  პროექტის განხორციელებისა და წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების პროცესში, პროექტის გუნდისათვის ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, 2022 წელს შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით შემუშავებული, გზამკვლევი “შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ” , რომელშიც მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები და მოდელების ვარიანტები შემოქმედებითი სივრცეების შექმნასთან დაკავშირებით. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ  2022 წელს შემუშავებულ გზამკვლევს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარების პერსპექტივები.

### სამიზნე აუდიტორია

წინამდებარე დოკუმენტი, პირველ რიგში, განკუთვნილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და იმ უწყებებისათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კულტურის სტრატეგიის განხორციელებასა და ურბანულ განვითარებაზე, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და დარგის სპეციალისტებისთვის. ასევე, სხვა დაინტერესებულ ადამიანებისა/ორგანიზაციებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ განახორციელონ ინვესტიცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და მხარი დაუჭირონ შემოქმედებითი სივრცეების შექმნასა და განვითარებას.



[2] ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მასალა ასახულია მონაცემთა ბაზაში.
[3] ლიდია ვარბანოვა, ნიკოლოზ ნადირაშვილი, გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, 2022

# 3 ადგილობრივი კონტექსტი

ზუგდიდი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. XX საუკუნის დასასრულს, საქართველოში განვითარებულმა რთულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მთლიანად მოშალა ქვეყნის მატერიალური-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ზუგდიდის განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაზე. საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდში დროებით შეჩერდა აღმშენებლობითი პროცესი.

ეს პერიოდი ქალაქისთვის, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოსთვის, სირთულითა და გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აისახა ქალაქის ცხოვრებაზე, მოიშალა კულტურის სახლების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებო კერები; მსხვილმასშტაბიანი მიგრაციის ფონზე ქალაქის მოსახლეობა შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1992-1993 წლების კონფლიქტი აფხაზეთში, რამაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ზუგდიდზე. ყოველივე ამან, ღრმა კვალი დაამჩნია ქალაქის არამარტო ინფრასტრუქტურას, არამედ, კულტურული ცხოვრების დონესაც. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი, თბილისის შემდეგ გახდა მეორე ქალაქი დევნილთა კომპაქტური ჩასახლების რაოდენობის მიხედვით. დევნილთა უმეტესობა სწორედ არსებულ კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა-ნაგებობებში დაბინავდნენ.

მართალია, ქალაქმა ნაწილობრივ უკვე გადალახა 1990-იანი და შემდგომი წლების ინდუსტრიულ-ეკონომიკურ კოლაფსთან დაკავშირებული ძირითადი სირთულეები, თუმცა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დღესაც ადვილად შესამჩნევია მიტოვებული, უფუნქციო შენობების სიმრავლე, სადაც ერთ დროს ხალხის ხმაური ყოველდღიური რიტმის ნაწილი იყო, ახლა კი, უბრალოდ დუმს. თითოეული შენობა ინახავს ისტორიას, რომელიც თითქოს ისევეა დაკარგული დროსა და სივრცეში, როგორც მათი ფასადები. ზოგი საბჭოთა პერიოდის უბრალო, არაფრით გამორჩეული შენობაა, ზოგი კი დახვეწილი არქიტექტურით გამოირჩევა, ბევრ მათგანზე შემონახულია მოზაიკის სრული ან ნაწილობრივი ფრაგმენტი. ხოლო ზოგიერთი მოპირკეთებულია, ან ფასადზე იკითხება ძველი ორნამენტები. ეს შენობები განსხვავებული ფუნქციისა და ისტორიის მატარებელია, ყველა სოფელს ჰქონდა საკუთარი კლუბი, რომლის დანიშნულება იყო მეტად მრავალფეროვანი, სოფლის შეკრებებიდან დაწყებული, კულტურული და შემოქმედებითი აქტივობებით დამთავრებული, შედარებით დიდ სოფლებში იყო კულტურის ცენტრები, ბიბლიოთეკები, ადმინისტრაციული, სამეურნეო თუ საწარმოო შენობები. სამწუხაროდ, დღეს მათი დიდი ნაწილი მიტოვებული და დასანგრევად განწირულია.

ერთ დროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში ფუნქციონირებდა აეროპორტი, საიდანაც ფრენები ხორციელდებოდა თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის მიმართულებით. თბილისამდე გადაფრენას სულ რაღაც 55 წუთი სჭირდებოდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შენობა გაიძარცვა. მოგვიანებით, იყო არაერთი მცდელობა, ინგირის აეროპორტი ხელახლა აღედგინათ ან აეშენებინათ, თუმცა, უშედეგოდ.[4]

ყველაზე მეტად ქალაქ ზუგდიდში თავისი მასშტაბითა და დანიშნულებით გამოირჩევა ყოფილი ენგურ--ქაღალდ კომბინატის და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილ ინდუსტრიულ ზონასთან ერთად, სამოქალაქო ინფრასტრუქტურაც - სასტუმროები, გამაჯანსაღებელი, სპორტული და საცხოვრებელი კომპლექსებიც უხვადაა წარმოდგენილი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, გარდა კულტურისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობასა და სპორტს, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა ტიპის სპორტული კომპლექსებისა და განსხვავებული პროფილის სასწავლებლების მიტოვებული ან/და ფუნქცია შეცვლილი შენობები. ამის ნათელი მაგალითია, სოფელ ჭკადუაშში არსებული პიონერთა ბანაკი, რომელიც გაიხსნა მეოცე საუკუნის შუა პერიოდში და ხის კოტეჯებისაგან შედგებოდა. აქ ფუნქციონირებდა სხვადასხვა შემოქმედებითი და სპორტული სექციები:ნორჩი ფეხბურთელების, ფრენბურთელების, მაგიდის ჩოგბურთის და სხვა.1986 წელს, ძველი ბანაკის ბაზაზე, ახალი კაპიტალური 6 კორპუსი აშენდა (1 ადმინისტრაციული შენობა, 1 სასადილო და 4 კამპუსი (აქედან ამჟამად 1 კამპუსი დანგრეულია)), რომელიც გაშლილი იყო რამდენიმე ჰექტარზე. ბანაკი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი გახლდათ - ერთ ჯერზე 500 -მდე მოსწავლე-ახალგაზრდას (პიონერს) იღებდა, არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი საბჭოთა კავშირიდან.1989 წელს მოსწავლეების მიღება შეწყდა, 1990-1993წწ გადაკეთდა მოხუცთა პანსიონატად, 1993 წელს კი აქ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები დასახლდნენ, რომელთა ნაწილი დღესაც აქ ცხოვრობს.

[4] https://1tv.ge/news/mitovebuli-shenobebi-samegreloshi-istoriis-utyvi-motsmeebi/

# 4 მოქმედი და დაგეგმილი მულტიფუნქციური სივრცეები

ბოლო წლების მანძილზე, ზუგდიდში მოქმედი კულტურული თუ საგანმანათლებლო სივრცეების ხელმძღვანელები ცდილობენ ყოველდღიურ საქმიანობაში თანამედროვე მულტიფუნქციური ელემენტების შეტანას, თუმცა ეს ჯერ-ჯერობით მაინც არ არის საკმარისი.

ამავე კონტექსტში, ასევე აღსანიშნავია, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი, რომელიც განათლებისა და შეხვედრებისთვის თანამედროვე სივრცედ გარდაიქმნის პროცესშია, ვიზიტორებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ექლევათ შესაძლებლობა არამარტო გაეცნონ ლიტერატურას, არამედ შეიკრიბონ, განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხები, და მიიღონ არაფორმალური განათლება.[5]

მნიშვნელოვანია გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ოსტატებისთვის მულტიფუნქციური შენობის განთავსების პროექტი "მოზაიკა", რომელიც ხორციელდება „დანიის ლტოლვილთა საბჭოს" მიერ, საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის (GACC) და საქართველოს მემკვიდრეობისა და რეწვის ასოციაციის (GHCA) ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელოვნებო სექტორის ერთიანი ხედვის შექმნა, რომელიც აერთიანებს, ტრადიციებს, ინოვაციებს, განათლებას, პროფესიულ განვითარებას რეგიონული ძლიერი იდენტობისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის განვითარებას: არსებული რეწვით რესურსების კაპიტალიზაციისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის გზით. ხელნაკეთობების განვითარების ცენტრის „მოზაიკა"-ს ფარგლებში მოხდება ადგილობრივი და რეგიონის სტუმრებისათვის ისეთი აქტივობების შეთავაზება როგორიცაა: საგანმანათლებლო საქმიანობა, კონფერენციები და გამოფენები. დემო სივრცეების ოპერირებისა და ხელნაკეთობების ოსტატების ადგილობრივი ქსელის შექმნის მიზნით, სამომავლოდ, დაგეგმილია აღნიშნული ცენტრის გარდაქმნა ხელნაკეთი ნივთების ოსტატთა სექტორის ბიზნეს ინკუბატორად. ცენტრი ფუნქციონირების დაწყების შემდგომ უმასპინძლებს ისეთ მულტიფუნქციურ სივრცეებს, როგორიცაა: შოუ ოთახი, მცირე დემო-ხელნაკეთობების სივრცეები, კაფე და საოჯახო სასტუმრო - 4 ოთახით. ასევე ცენტრში იფუნქციონირებს საგამოფენო და სასწავლო ოთახები, ხოლო ზედა სართული დაეთმობა საოფისე ფართებს. ხელნაკეთობების ცენტრი „მოზაიკა" წარმოადგენს უნიკალურ ობიექტს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რომელიც შექმნის მნიშვნელოვან ბაზას ეკონომიკური ზრდისათვის ხელნაკეთობების და სახელოვნებო სფეროში აქტიურ პირებისთვის ღონისძიებების, ტრენინგების, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ტურისტული საქმიანობის განვითარების გზით. აღნიშნული ცენტრი სრულმასშტაბიან ფუნქციონირებას დაიწყებს 2023 წლის 1 მარტს.

ამასთან, ზუგდიდში 2022 წლის ოქტომბერში, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაიწყო ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის, მუზეუმისა და ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა. შენობის კონცეფცია, გულისხმობს ისეთი, მულტიფუნქციური სივრცის შექმნას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შეუქმნის განვითარების, საკუთარი იდეების დამუშავების, მათი წარდგენისა და სიახლეების დანერგვის მეტ საშუალებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში მოეწყობა სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის არქივი, მუდმივი და დროებითი საგამოფენო სივრცე, საინფორმაციო ცენტრი ტურისტებისთვის, სივრცე ინტერაქტიული სწავლებისთვის, კაფე და ვერანდა, რომელსაც ხედი დადიანების სასახლისკენ ექნება. პროექტი ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, რომლის ჯამური ღირებულებაც 18 000 000 ლარზე მეტია. პროექტის დასრულება 2024 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

გარდა ამისა, ახალგაზრდული მულტიფუნქციური სივრცეები ზუგდიდის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც იქმნება, რაც ცალსახად ხაზს უსვამს არსებული სერვისების საჭიროებებს, ასეთი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ორია:

რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავსტრიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით 2022 წლის ბოლოს, შეიქმნა ახალგაზრდული მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ადგილობრივ მოზარდებსა და ახალგაზრდებს ემსახურება. აქ საქმიანობას ეწევა ააიპ "მთავარი თაობა" რომლის საინიციატივო ჯგუფი 30-50 ახალგაზრდით არის დაკომპლექტებული.

ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდული სივრცე, თავდაპირველად, ჯერ კიდევ 2003 წელს შეიქმნა, თუმცა შემდგომ გარკვეული მიზეზების გამო შეწყვიტა ფუნქციონირება და მხოლოდ 2021 წელს განაახლა საქმიანობა. ახალგაზრდული სივრცე განთავსებულია ნარაზენის ეკლესიის ტერიტორიაზე და მას საქმიანობისათვის ერთი ოთახი აქვს დათმობილი. სამწუხაროდ სივრცე არ არის აღჭურვილი არანაირი ტექნიკით, თუმცა აქ პერიოდულად, სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული შეხვედრები იმართება. სივრცით აქტიურად 15-მდე ახალგაზრდა სარგებლობს.
მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პროექტებისა, ამ ეტაპისათვის, ის სრულად ვერ პასუხობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, თუმცა შემოქმედებითი სექტორის განვითარებისათვის მიმართული, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯები სტიმულირებას მოახდენს, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად ეფექტური შედეგების მიღებას.

[5] https://jam-news.net/ge/mitovebuli-bibliotekebi-dasavlet-saqartveloshi-ratom-ver-izidavs-isini-akhalgazrdebs/

# 5 შემდგომი საჭიროებები

წლების განმავლობაში ქალაქში დაგროვილი პრობლემებისა და გამოწვევების შემდეგ, შედარებითმა ეკონომიკურმა სტაბილურობამ, მოსახლეობაში კულტურული მოთხოვნილებები და საჭიროებები გაზარდა.

"ზუგდიდში მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლის, კულტურის სახლების, გალერეების, სკვერებისა და სოციალური კაფეების არსებობის მიუხედავად, ახალგაზრდები კვლევებში ერთ-ერთ პრობლემად აფიქსირებენ მათი შეკრების სივრცეების სიმცირეს, რაც განპირობებულია სოფლებში თავშეყრის ადგილების არარსებობით. ისინი შეკრების ადგილად მიიჩნევენ კუთხეს, სადაც თავისუფალი დროის ორგანიზებას შეძლებენ, სივრცე, სადაც თავმოყრილი იქნება არამარტო სატრენინგო, არამედ სპორტულ-კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის კუთხეები, მათ შორის ბიბლიოთეკის და სამაგიდო თამაშების სივრცე. ეს ყოველივე საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს თავისუფლად შესძლონ საკუთარი იდეების/პროექტების განხორციელება, საკუთარი თავის რეალიზება და განვითარება, რაც თავისუფალი დროის ეფექტურად ორგანიზებას შეუწყობს ხელს", ნათქვამია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2019-2022 სტრატეგიის დოკუმენტში - ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც გამოიკვეთა იყო შემოქმედებითი, ხელმისაწვდომი სივრცის არარსებობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდში სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ობიექტის ბაზაზე არსებობს არაერთი სატრენინგო და შეხვედრების სივრცე, არ არსებობს სივრცე, სადაც ახალგაზრდებს და დამწყებ ხელოვანებს შეუძლიათ შეხვედრა, ერთმანეთისთვის საკუთარი იდეებს, მიზნებისა და რესურსების გაზიარება, საბაზისო ინფრასტრუქტურით სარგებლობა და აქტივობების დაგეგმვა. შესაბამისად, დოკუმენტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის მისაღწევ ამოცანად გათვალისწინებულია - ახალგაზრდების შეკრებისა და ურთიერთობების წასახალისებლად საჯარო და თავისუფალი სივრცეების შექმნა ყველა სოფელში.

ამასთან, ქალაქში პრაქტიკულად არ არსებობს მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც შეძლებს უმასპინძლოს, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო დონის მსხვილმასშტაბიან ღონისძიებას.




დიაგრამა[6] 1: ზუგდიდში რეგისტრირებული მოსახლეობა.

დამატებით, იგივე დადასტურდა 2021-2022 წლებში ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კვლევებით, რომლებმაც ცხადყო ზუგდიდის მოსახლეობისათვის მულტიფუნქციური და შემოქმედებითი სივრცეების არსებობის უკიდურესი საჭიროების აუცილებლობა. ზუგდიდის კულტურის განვითარების 5 წლიანი სტრატეგია, რომელიც 2021-2022 წლებში, ევროკავშირის დაფინანსებული 4ჩულტურე პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა და 2022 წლიდან 2026 წლის ჩათვლით ქალაქის მთავარ კულტურულ და შემოქმედებით თემებს, შესაძლებლობებს, მიზანსწრაფვებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს, ერთ-ერთ პრიორიტეტად, შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობას ისახავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უფუნქციოდ დარჩენილი ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შეფასება და პოტენციალის განსაზღვრა, რათა შემდგომ, დაინტერესებული მხარეების მიერ მოხდეს მათი მულტიფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნა, სადაც შემოქმედებითი ადამიანები შეიკრიბებიან, განიხილავენ თავიანთ იდეებს, გამოცდიან მათ შესაბამისობას ბაზართან მიმართებაში და ჩაატარებენ ექსპერიმენტებს. ეს გააძლიერებს ინტერ-დისციპლინურ გარემოს, გაზრდის ქალაქის მიმზიდველობას და განავითარებს ადგილობრივ საზოგადოებას.

განხორციელებული კვლევისა და შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო შენობების დაახლოებით 30% ჯერ კიდევ იძლევა მათი ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას. რაც მნიშვნელოვნ რესურსად უნდა ჩაითვალოს, ერთი მხრივ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მით უფრო, დამატებითი ახალგაზრდული თუ მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცეების შექმნის მოთხოვნილების საკითხი უკვე წლებია დგას მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დღის წესრიგში. მეორე მხრივ კი უფუნქციო შენობების ხელახალი გამოყენება ხელს შეუწყობს რესურსების სწორ გამოყენებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

# 6 დასკვნები და რეკომენდაციები

## 6.1. ძირითადი ხედვები და რეკომენდაციები

არახალია, რომ მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული, ნაცვლად ახალი შენობების აშენებისა, უკვე არსებულის ხელახალი გამოყენება. ეს, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია რესურსების მდგრადი გამოყენებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიული შენობების ადაპტაცია/ხელახალი ფუნქციის შეძენა, საინტერესო, მრავალმხრივი სივრცეების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ზუგდიდის მაცხოვრებლების წინაშე შემოქმედებითი სივრცის არარსებობის აღმოფხვრის გზაზე, იმ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქსა და მის შემოგარენში ახალი მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცეების შექმნას და განვითარებას, სასურველია აღნიშნული პრინციპის გათვალისწინება.

“მიტოვებულ შენობების შემოქმედებითი მიზნებით გამოყენება არა მხოლოდ კომერციულ, არამედ კულტურულ ღირებულებას სძენს. როგორც წესი, ხელოვანები და შემოქმედებითი პროფესიონალები, პოტენციალს ხედავენ იქ, სადაც ამას სხვები ვერ ამჩნევენ. მიტოვებული შენობების შემოქმედებით სივრცეებად გამოყენების თანმდევი სიკეთეებია:

- სოციალური და კულტურული აქტივობების გაძლიერება;

- ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის რესურსებზე (პირველ რიგში, სივრცეებზე) ხელმისაწვდომობის ზრდა;

- სივრცის დინამიკურობის შენარჩუნება და სოციალური ჯგუფების გაძლიერება;

- ახალი საჯარო სივრცის გახსნა და საჯარო სივრცეების მოწყობის კონცეფციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.[7]“

როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაერთი ფუნქცია დაკარგული შენობაა, რომელიც მიზანშეწონილია სამომავლოდ სხვადასხვა ფუნქციით იქნას დატვირთული. ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს მის ტერიტორიაზე არსებული მიტოვებული, უფუნქციოდ დარჩენილი და მოუვლელი შენობები, ხოლო მეორე მხრივ ის წარმოადგენს დიდ პოტენციალს სამომავლოდ ახალი შემოქმედებითი, კულტურული, და არამხოლოდ, მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბებისა და შექმნისათვის, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ლოკალურ სოციო-ეკონომიკურ მდგრად განვითარებაზე:

“შემოქმედებით ინდუსტრიასა და პრაქტიკაში განხორციელებულ მცირედ ინვესტიციასაც კი შეუძლია თანდათან შეცვალოს საზოგადოების ქცევა ისე, რომ ხელოვნება და კულტურა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცეს და პოტენციურად გამოიკვეთოს მდგრადი განვითარებისკენ მიმავალი გზა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ქალაქში არსებული პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის შესაძლებლობების შექმნას და განვითარებას, კერძო სექტორთან, მკვლევრებთან, აკადემიურ წრეებთან, მოქალაქეებთან და სტარტაპებთან თანამშრომლობის გზით[8]“.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს მრავალპროფილური შემოქმედებითი სივრცე, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუქმნის შესაბამის სამუშაო გარემოს, საჭიროების შემთხვევაში მიიღებს რეზიდენტებს და ხელს შეუწყობს სოციალურ სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, ზუგდიდში მსგავსი სივრცის გაჩენა უკიდურესად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მუნიციპალიტეტში, და ზოგადად რეგიონებში, არსებული ფართომასშტაბიანი ადამიანური რესურსის გადინების ფონზე. დამატებითი მნიშვნელობა ეძლევა მსგავსი სივრცეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მისი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო. სივრცე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არა მარტო რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზოგადად შემოქმედებისათვის, არამედ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირებისთვისაც. გზით “.

[7]ლიდია ვარბანოვა, ნიკოლოზ ნადირაშვილი, გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, 2022, გვ.6
[8]ლიდია ვარბანოვა, ნიკოლოზ ნადირაშვილი, გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, 2022, გვ.14

აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს მრავალპროფილური შემოქმედებითი სივრცე, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუქმნის შესაბამის სამუშაო გარემოს, საჭიროების შემთხვევაში მიიღებს რეზიდენტებს და ხელს შეუწყობს სოციალურ სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, ზუგდიდში მსგავსი სივრცის გაჩენა უკიდურესად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მუნიციპალიტეტში, და ზოგადად რეგიონებში, არსებული ფართომასშტაბიანი ადამიანური რესურსის გადინების ფონზე. დამატებითი მნიშვნელობა ეძლევა მსგავსი სივრცეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მისი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო. სივრცე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არა მარტო რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზოგადად შემოქმედებისათვის, არამედ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირებისთვისაც.

დამატებით, მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცეების განვითარება, ასევე ხელს შეუწყობს უშუალოდ ქალაქ ზუგდიდში მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარებას ან/და მასპინძლობას რომლის რესურსიც ამჟამად ფაქტიურად არ არსებობს.

ზუგდიდის მიტოვებული/ფუნქცია დაკარგული შენობების მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცეებად წარმატებით გარდაქმნის მიზნით, სასურველია:

- **ზუგდიდის მაცხოვრებლების წინაშე არსებული საჭიროებების გათვალისწინება** - ამისათვის აუცილებელია დამატებითი კვლევ(ებ)ის ჩატარება, პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობა და შესაბამისად მოხდეს პროცესის დაგეგმვა;

- **თანამშრომლობითი პრინციპის დაცვა** - პროცესი ვერ იქნება წარმატებული სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობისა და დაბალანსებული ჩართულობის გარეშე;

- **დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება** - აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს კერძო სექტორის დაინტერესების შედეგად, ან საერთაშორისო ფონდების ჩართულობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაგეგმვის ეტაპზე სწორი, დაბალანსებული კონცეფციის შემუშავება, რომელიც ერთი მხრივ ხელმისაწვდომ სივრცეს შესთავაზებს მოსახლეობას, ხოლო მეორე მხრივ კომერციულად საინტერესო იქნება კერძო სექტორისათვის;

- **საერთაშორისო პლატფორმების მხარდაჭერა** - შემოქმედებითი სივრც(ეებ)ის დაგეგმვისა და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპია სხვადასხვა საერთაშორისო წარმატებული მაგალითის გაზიარება, ამისთვის შესაძლებელია სხვა სივრცეებთან “დამეგობრება”, ქსელის შექმნა, ან არსებულ ქსელში გაწევრიანება; სექტორში არსებული შესაბამისი პლატფორმების გამოყენება;

- **სოციალური სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა** - სივრცე დაიგეგმოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივ სოციალური სამეწარმეო საქმიანობას;

- **ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა** - აუცილებელია გარანტირებულ იქნეს სივრცის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა და ხედვებისა;

- **ხელი შეუწყოს შემოქმედებითი არეალების განვითარებას** - გათვალისწინებულ იქნას გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობა/პერსპექტივა არა მხოლოდ კონკრეტული შენობის არამედ პოტენციურად არეალისათვის. ამასთან მნიშვნელოვანია, კონკრეტული შემოქმედებითი სივრცე ემსახურებოდეს არა ერთ კონკრეტულ კვარტალს/უბანს/სოფელს არამედ უფრო ფართო არეალს;

- **ფუნქციური გადანაწილება** - იმგვარად მოხდეს სხვადასხვა შინაარსისა და ფუნქციით დატვირთული შემოქმედებითი სივრცეების განვითარების დაგეგმვა, რომ არ მოხდეს კონცენტრირება ერთ არეალში, არამედ მოხდეს მათი დივერსიფიკაცია სხვადასხვა ლოკაციებზე.

შემოქმედებითი სივრცეების წარმატებით შექმნისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ფაქტორები: მუნიციპალიტეტის ჩართულობა; სამიზნე შენობის საკუთრების ფორმის გათვალისწინება და მესაკუთრესთან სწორი და ღია დიალოგის წარმოება; ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და მათთან კონსულტაცია; გამჭირვალობა და ღია კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან მთელი პროცესის განმავლობაში; მულტიდისციპლინარული მიდგომა - პროცესში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობა საწყისი ეტაპიდანვე; საჭიროებების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში.

დამატებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, პროცესი იყოს ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული, ითვალისწინებდეს მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში შესწავლილი შენობების ნაწილში ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები. შესაბამისად, ესეთი სივრცეების შემდგომი განვითარების დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია აქ მცხოვრები პირების ინტერესების გათვალისწინება, მოლაპარაკება და მათთვის სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება.
გზამკვლევი "შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ", შემოქმედებითი მულტიფუნქციური სივრცეების შექმნისა და განვითარებისათვის  გამოყოფს დაფინანსების სხვადასხვა შესაძლო სისტემას, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული, თვით დაფინანსებული, ჰიბრიდული დაფინანსება, კორპორაციული მხარდაჭერა, ქრაუდფანდინგი. ზუგდიდის შემოქმედებითი სივრცეების პოტენციალის შეფასების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მოდელებიდან საწყის ეტაპზე, რეკომენდირებულია და შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული და ჰიბრიდული დაფინანსების მოდელების გამოყენება, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ყველა შერჩეული შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. თუმცა, სამომავლოდ, შესაძლებელია ასევე ქრაუდფანდინგისა და კორპორაციული მხარდაჭერის მოდელების გამოყენება, განსაკუთრებით უკვე არსებულ/დაგეგმილ შემოქმედებით სივრცეში სხვადასხვა მცირე სტუდიოებისა და  სოციალური მეწარმეების მხარდაჭერის მიზნით და ასევე, რეზიდენციების/სასტუმროების ზონის განვითარებისას9.

ამასთან, მუნიციპალიტეტის/სახელმწიფოს მიერ პირველი ინვესტიციის განხორციელების პარალელურად, მნიშვნელოვანი და გარდაუვალია პროცესში კერძო სექტორის ჩართვა. ამისთვის აუცილებელია, დაგეგმვის ეტაპზევე მოხდეს სხვადასხვა საინვესტიციო შეთავაზებების მომზადება და კერძო სექტორისა და ფონდებისათვის საინტერესო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მზარდ ინვესტიციებს.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არ დგას ათეულობით მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცის ინიცირების საჭიროება. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში აღწერილი ყველა შენობა ვერ იქნება ათვისებული ამ მიზნით. თუმცა ეს შენობები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მატერიალურ ბაზასა და რესურსს, რომლისთვისაც სიცოცხლის დაბრუნება აუცილებელია, რაც მოახდენს შემოქმედებითობის სტიმულირებას, გააჩენს ახალ მიზიდულობის კერებს, და ხელს შეუწყობს კონკრეტული ადგილების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა არსებული რესურსის ამ კონტექსტში შეფასება და შესაბამისი საინვესტიციო შეთავაზებების შემუშავება, რათა განვითარება იყოს მდგრადი, გეგმაზომიერი და ჰარმონიული მუნიციპალიტეტის სოციალურ და ურბანულ საჭიროებებთან.
და ბოლოს, პროექტის ფარგლებში გამოვლენდა ობიექტები, რომლებიც მიგვაჩნია, რომ თავისი არქიტექტურული ღირებულებებით, იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსს, კონკრეტულად:

> ყოფილი საბჭოს შენობა ანაკლიაში (მონაცემთა ბაზის ნომერი - 06);

> ყოფილი კულტურის სახლის შენობა ჯიხაშკარში (მონაცემთა ბაზის ნომერი - 18);

> ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში (მონაცემთა ბაზის ნომერი - 20);

> ყოფილი სტამბის შენობა ზუგდიდში (მონაცემთა ბაზის ნომერი - 21);

[9] "შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ" გზამკვლევის მიხედვით:
"სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს (მუნიციპალიტეტი, მერია და სხვა), სამთავრობო უწყების (ერთი ან რამდენიმე სამინისტრო) ან ევროკავშირის დაფინანსებით. ამგვარი მიდგომა სტრატეგიულია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ შემოქმედებითი სივრცის განსავითარებლად გრძელვადიანი ბიუჯეტი დაამტკიცა. არსებობს ვარიანტი, რომ მესაკუთრე (სახელმწიფო) გაიმიჯნოს მენეჯმენტისგან (რომელსაც განახორციელებს არაკომერციული ორგანიზაცია, სახელმწიფო ტენდერის მოგების შემდეგ), რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრადობას.
ჰიბრიდული დაფინანსება - გარე დაფინანსების წყაროებისა და საკუთარი შემოსავლების დაბალანსებული კომბინაცია. გარე დაფინანსების წყაროები განსხვავებულია: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, ფონდები (ადგილობრივი, ეროვნული, საერთაშორისო), ევროკომისიის პროგრამები და სხვა;
ქრაუდფანდინგი -  მსოფლიოში შემოქმედებითი ინდუსტრიის პროექტების, მათ შორის, შემოქმედებითი სივრცეების მხარდაჭერის პოპულარული მეთოდი. ქრაუდფანდინგი გულისხმობს სხვადასხვა ოდენობის თანხის მოთხოვნას უცნობი ადამიანებისგან (როგორც წესი, ონლაინ) და ასრულებს შუამავლის როლს დონორებსა და ბენეფიციარებს შორის.
კორპორაციული მხარდაჭერა - დაფუძნებულია კერძო ინვესტიციებზე. ამგვარი ინვესტიციების წყაროა კორპორაციები ან ფიზიკური პირები, სხვადასხვა ფორმით – მაგ. ბიზნეს კომპანიების კოალიცია ან ინვესტორი, რომელიც დებს კაპიტალს მომავალ ბიზნესში. კორპორაციული მხარდაჭერის წყაროს ყველაზე ხშირად წარმოადგენენ ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, უძრავი ქონების სააგენტოები ან სამშენებლო კომპანიები – იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი კლასტერი დაკავშირებულია შენობის რეკონსტრუქციასთან. შემოქმედებითი იდეების აქსელერატორებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც კომერციული ორგანიზაციები, შემოქმედებითი მეწარმეები უხდიან გაწევრიანების საზღაურს, ხოლო ფიზიკური პირები (ინვესტორ-ანგელოზები და სხვები) ახორციელებენ ინვესტიციას სტარტაპების მომავალ განვითარებაში."
ქრაუდფანდინგის, ანუ სახალხო დაფინანსების პრაქტიკის შესახებ დამატებით მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის(CSRDG) მიერ, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით შემუშავებული "ქრაუდფანდინგის ღონისძიების გზამკვლევი".
https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2021/11/live_cowdfunding_guideline_csrdg_2021.pdf

"კულტურა და შემოქმედებითობა, მსოფლიოს არაერთ ქალაქში აღიარებულია, როგორც ურბანული განვითარებისა და განახლების სტრატეგიის ძირითადი რესურსი. მსოფლიოს ბევრ მცირე და საშუალო ზომის პოსტინდუსტრიულ ქალაქში, კულტურისა და სახელოვნებო დანიშნულების ახალი ობიექტები, მიტოვებულ და გამოუყენებელ სივრცეებში (ყოფილ სამხედრო ბაზებზე, ქარხნებში, წისქვილებში, გემებზე, სარკინიგზო სადგურებსა და სამრეწველო ობიექტებზე) აღმოცენდა. ურბანული რაიონები, სადაც მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურაა, ხშირად იზოლირებულია ქალაქის ცენტრისგან, რაც, თავის მხრივ, უამრავ ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემას (სიღარიბე, დაუცველობის განცდა, ცხოვრების დაბალი ხარისხი, ეკონომიკური არაეფექტიანობა, გარემოს დაბინძურება) იწვევს.
გამოყენების შემთხვევაში, შენობები შემოსავალს იძლევა – გამოუყენებლობა შემოსავალს არ წარმოშობს. დროებითი ან შუალედური გამოყენება მფლობელს (სახელმწიფო თუ კერძო მესაკუთრეს) მთელ რიგ ისეთ სარგებელს სთავაზობს, როგორიცაა, დროებითი მენეჯმენტის მიერ შენობის მოვლა შენახვა. ხშირად, ამ ტიპის რესურსი, ქალაქში მცხოვრები შემოქმედებითი ადამიანებისთვის, დაბალ ფასიან და საინტერესო სივრცეებთან წვდომის შესაძლებლობაა"[10]

1930-იან წლებიდან მოყოლებული, ქალაქ ზუგდიდსა და სასოფლო ცენტრებში მასობრივად დაიწყო კულტურის სახლების მშენებლობა, შესაბამისად, თითქმის ყველა სოფელში არის საბჭოთა პერიოდის კულტურის სახლი, ან/და სხვა კულტურული დანიშნულების მქონე შენობა, რომელთა მდგომარეობა და ამჟამინდელი დანიშნულება არაერთგვაროვანია. თუმცა, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე და წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, არ მომხდარა თითოეული მათგანის დეტალური ინვენტარიზაცია.

არსებული რესურსების შეფასების ეტაპზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან კონსულტაციით, შეირჩა ის ობიექტები, რომელთა ინვენტარიზაციაც წინასწარ შერჩეული საველე ბარათების დახმარებით განხორციელდა პროექტის ფარგლებში. სულ, ასეთი 27 ობიექტი იქნა გამოვლენილი, საიდანაც 7 უშუალოდ ზუგდიდშია განლაგებული, ხოლო 20 - მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზეა გაშლილი. ინფორმაცია თითოეული ამ შენობის შესახებ წარმოდგენილია დოკუმენტის ბოლოს ინტეგრირებულ კატალოგში.

პროექტის განხორციელების პროცესში იდენტიფიცირებული სივრცეების უმრავლესობა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მუნიციპალიტეტის შემდგომი ურბანული განვითარებისა და განახლების პოტენციური რესურსი. მათი პოტენციალის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შენობების სამომავლო განვითარების დაგეგმვა შესაძლებელია როგორც საქალაქო და მუნიციპალური, ასევე სტრუქტურულად ცალკე მდგომ სივრცედ, ან ქოლგა ორგანიზაციის პრინციპით მოქმედი შემოქმედებითი მუნიციპალური კლასტერის ფორმით, რომელიც აერთიანებს სოფლად განთავსებული თემატურ სივრცეებში მომუშავე და მოღვაწე პირთა ინტერესებსა და აფართოებს მათ შესაძლებლობას ცენტრალიზებულ დონეზე.

შემოქმედებითი მუნიციპალური კლასტერი შეიძლება გულისხმობდეს:

– "შემოქმედებითი პირების გაერთიანებებს, რომლებსაც აქვთ საერთო მიზნები და რესურსები, გააჩნიათ ორგანიზაციული ერთიანობის განცდა და ერთიანდებიან შემოქმედებითობის იდეის გარშემო;
– მსგავს ან სხვადასხვა ტიპის კომპანიების ჯგუფს, რომლებიც გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს არიან განთავსებულნი და ინოვაციების სტიმულირების მიზნით, ერთობლივად მოქმედებენ კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში;
– ქალაქის რაიონის ან კვარტლის ნაწილს, რომელიც გამოირჩევა ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობით და სათანადო ინფრასტრუქტურით, რაც ტურისტებსა და მოქალაქეებს შემოქმედებით და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მოტივაციას უჩენს.
– შემოქმედებითი კლასტერები წარმოადგენს სტიმულს ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობისთვის, როგორც ბიზნესის, ისე სოციალურ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ კლასტერები შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც ონლაინ, ისე ჰიბრიდულ ფორმატში, მათი უმეტესობა ფიზიკურადაა წარმოდგენილი, ვინაიდან კლასტერის პრინციპი ძირითადად (მაგრამ არა ექსკლუზიურად) სივრცით ტერიტორიულ სიახლოვეში მდგომარეობს."[11]



[10]ლიდია ვარბანოვა, ნიკოლოზ ნადირაშვილი, გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, 2022, გვ.6
[11]ლიდია ვარბანოვა, ნიკოლოზ ნადირაშვილი, გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, 2022, გვ.6

საერთო ჯამში, როგორც უკვე აღინიშნა, ინვენტარიზაციის ეტაპზე 27 შენობის იდენტიფიცირება მოხდა, რომელთაგან პირველ ეტაპზე, მხოლოდ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ან გამორჩეული  რესურსის მქონე შენობა შეირჩა. შერჩევის პროცესში განისაზღვრა ის პარამეტრები რომელიც შენობებს უნდა დაეკმაყოფილებინათ და ის პოტენციური სივრცეები, რომლებიც სამომავლოდ შესაძლებელი იქნება განთავსდეს შერჩეულ შენობებში (იხ. ცხრილი 1). აღნიშნული სივრცეები განისაზღვრა ზუგდიდში არსებული ინფრასტრუქტურის გაცნობისა და მისი შესაძლებლობების, ამავდროულად ზუგდიდის მოსახლეობის წინაშე არსებული საჭიროებების შეფასების შედეგად.

| სასურველი პარამეტრები | სასურველი სივრცეები |
| --- | --- |
| > სახელმწიფო საკუთრება; | > ინდივიდუალური სამუშაო სივრცე; |
| > მეტწილად გამოუყენებელი სივრცე; | > საერთო სამუშაო სივრცე; |
| > სულ მცირე 500 კვ.მ - შემდგომი გაფართოების პერსპექტივით; | > სამუშაო შეხვედრების სივრცე; |
| > საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფარვის არეალში; | > სახელოსნოების სივრცე; |
| > განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში მდებარე; | > საკონფერენციო სივრცე; |
| > მყარი კონსტრუქციული მდგომარეობა; | > ღონისძიებების სივრცე; |
| > დამაკმაყოფილებელი, ან კარგი ფიზიკური მდოგმარეობა. | > საგამოფენო სივრცე; |
| | > საკვები და კომერციული ზონა; |
| | > სასტუმრო/სარეზიდენციო სივრცე; |
| | > ეზოს სივრცე დასვენებისა და ღია ცის ქვეშ ღონისძიებებისათვის;<br>ოგმარეობა. |

ცხრილი 1: პროექტის ფარგლებში განსაზღვრული სასურველი პარამეტრები და სივრცეები.

შერჩევის პროცესში ასევე მნიშვნელოვან გარემოებად იქნა მიჩნეული, შენობებში "შემოქმედებითი სივრცის" უკვე არსებული ჩანასახი, და ის, რომ ამ შენობებს ადგილობრივი მოსახლეობა, შესაძლებლობის ფარგლებში, აქტიურად იყენებს საკუთარი კულტურული თუ შემოქმედებითი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რაც ამ ეტაპზე უპირატეს პოზიციაში აყენებს მათ.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა 4 სივრცე, რომელთა შემოქმედებით მულტიფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნა პირველ ეტაპზეა რეკომენდებული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში გამოვლენილი შენობები არ წარმოადგენს შეზღუდვას, საჭიროების/სურვილის შემთხვევაში მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცე/ები განვითარდეს სხვა შენობა-ნაგებობებშიც.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში მოხდა პოტენციური ობიექტების გამოვლენა და მათი სავარაუდო განვითარების შესახებ პირველადი ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისად აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა - პროექტების განხორციელება, რომელთა ფარგლებშიც მოხდება ადამიანური რესურსისა და პოტენციალის ძირეული კვლევა, საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირება, განისაზღვრება ზუსტი კონცეფცია, და შემუშავდება შესაბამისი არქიტექტურული პროექტები, რათა სივრცეებმა სრულყოფილად უპასუხოს ადგილზე არსებულ საჭიროებებს, და ადგილობრივ შემოქმედებით და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული პირებს შესთავაზოს ადექვატური სერვისები.

პროექტის ფარგლებში შემდეგი სამი შენობა შეირჩა:

- ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა ზუგდიდში;
- ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში;
- ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა ახალკახათში;

დამატებით გამოიყო ზუგდიდში არსებული ყოფილი კომბინატის ინდუსტრიული ზონა - ზუგდიდის ბრაუნფილდი, რომელსაც მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, თუმცა მისი განვითარება უფრო კომპლექსური და გრძელვადიანი საკითხია.

მისი შინაარსისა და პოტენციალის გათვალისწინებით, კვლევაზე მომუშავე გუნდი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია საწყის ეტაპზევე განხორციელდეს მცირე ინვესტიციები, რაც ხელს შეუწყობს აქტივობების განხორციელებას აღნიშნულ ტერიტორიაზე და პოტენციურად ხელს შეუწყობს დაფინანსების წყაროების შემდგომ ზრდას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეს ზუგდიდში საუნივერსიტეტო ცენტრი ყოფილი კომბინატის მიმდებარედაა, შესაბამისად, შემოქმედებითი არეალის განვითარება აქ, სამომავლოდ მძლავრი ახალგაზრდული შემოქმედებითი ჰაბის შესაძლებლობას იძლევა.

ქვემოთ მოცემულია თითოეული შერჩეული შენობის შეფასება და პოტენციური განვითარების ხედვა:

## ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა ზუგდიდში

კვლევის განხორციელების პროცესში იდენტიფიცირებული სივრცეებიდან, თავისი მასშტაბითა და ადგილმდებარეობით გამოირჩევა ზუგდიდის ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის ნაგებობა, რომელიც ზუგდიდის ტექნო პარკის გვერდით მდებარეობს. პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილი შენობა, სავარაუდოდ მეოცე საუკუნის 70-იან წლებშია აშენებული და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ოთხსართულიანი შენობის მდგომარეობა, ერთი შეხედვით კარგია.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის შიდა სივრცის დათვალიერება ვერ მოხერხდა, საბჭოთა ეპოქის მიზნობრივი არქიტექტურის ტიპოლოგიის გათვალისწინებით, და ექსტერიერის გადაწყვეტაზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შიდა სივრცე დაყოფილია სხვადასხვა ზომის ოთახებად, რომელიც გამოიყენებოდა სალექციოდ, ადმინისტრაციული, და სხვა. ასევე ჩანს, რომ შენობას აქვს დიდი სპორტდარბაზი, რომელსაც მარჯვენა ფლიგელში მესამე-მეოთხე სართული უჭირავს და მისი ფართობი დაახლოებით 300 კვ.მ-ს შეადგენს, ხოლო ჭერის სიმაღლე - 10 მეტრამდეა.

შემოქმედებით სივრცედ გარდაქმნის შემთხვევაში, აღნიშნული შენობა იძლევა რესურსს, აქ განთავსდეს თითქმის ყველა ის სივრცე, რომლის ნაკლებობაცაა დღეს ზუგდიდში, კერძოდ, ინდივიდუალური სამუშაო სივრცე, საერთო სამუშაო სივრცე, შეხვედრების სივრცე, ღონისძიებისა და საკონფერენციო სივრცე, საგამოფენო სივრცე, სახელოსნოებისა და სტუდიოების სივრცე. აქვე შესაძლებელი იქნება კომერციული და საკვები ზონის გათვალისწინებაც. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ შენობა იძლევა სარეზიდენციო/სასტუმრო ზონის მოწყობის შესაძლებლობას, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია წარმატებული მსხვილმასშტაბიანი შემოქმედებითი სივრცის ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული შესაძლებელს გახდის სხვადასხვა არარეზიდენტი შემოქმედისათვის საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის გამოყოფას, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ადგილობრივ და ჩამოსულ პირებს შორის.

ასევე გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ ზუგდიდში არსებული შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტები არა მხოლოდ სამეგრელოდან, არამედ - საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც, მათ შორის დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან. თუმცა, დღეს ზუგდიდში სტუდენტებისათვის გამოწვევაა ხელმისაწვდომი საცხოვრებლები. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, შენობას არსებული რესურსის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მისი სივრცის ნაწილი დაეთმოს სტუდენტების კამპუსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში (სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ამავე უმაღლესის პროფესიული პროგრამები; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ზუგდიდის აკადემია"; კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი") სწავლებას გადის 1 462 ახალგაზრდა, რომელთაგან 858 გოგოა და 602 ვაჟი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი, სტუდენტების საერთო რაოდენობის 38,65%-ს გააჩნია.

აქვე მნიშვნელოვანი ფაქტორია, შენობის ტექნოპარკის მომიჯნავე მდებარეობა. აღნიშნული შესაძლებლობას იძლება სამომავლოდ, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული შენობა განვითარდეს, არამედ, ჩამოყალიბდეს ერთგვარი სინთეზური შემოქმედებით-ტექნოლოგიური კლასტერი, რომელიც მოიზიდავს და უმასპინძლებს შემოქმედებით და ამავდროულად თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებულ პირებს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის, მუზეუმისა და ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა. რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებსა და მიმზიდველობას გაუჩენს ადგილზე შემოქმედებითი კლასტერის განვითარებას.

## ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში

სხვა შენობებთან შედარებით, სოფელ ნარაზენში არსებული ყოფილი კულტურის სახლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა მეტად დამაკმაყოფილებელია. ამასთან, აქ უკვე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული/შემოქმედებითი აქტივობები, და  ის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეძლებისდაგვარადაა გამოყენებული.

შენობის არქიტექტურა განსხვავდება მუნიციპალიტეტში არსებული სხვა კულტურის სახლებისა და კლუბებისაგან, ნარაზენის კულტურის სახლს ეპოქისათვის დამახასიათებელი და ამავდროულად გამორჩეული მთავარი ფასადი აქვს, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. ფასადის ცენტრალური ნაწილი თაღედს უჭირავს - აქ არის ცენტრალური შესასვლელი მასიური ხის დეკორირებული, ორფრთიანი კარები, რომლის თავზეც ფერადი მინების კომპოზიციაა განლაგებული. სამწუხაროდ, შენობის უკანა მხარე შედარებით ცუდ მდგომარეობაშია, ნაწილობრივ ჩამოშლილია საფასადე ნალესობა და ფანჯრების უმეტეს ნაწილში მინები აღარ არის.

ინტერიერში გამორჩეულად კარგადაა შემორჩენილი ჰოლისა და ადმინისტრაციული სივრცეების ნაწილი, რომელიც მოპირკეთებულია ხის პანელებით, რაც საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის სახასიათო  ელემენტს წარმოადგენს. ეპოქისათვის დამახასიათებელი ავეჯიც კარგადაა შემორჩენილი. ცენტრალური ჰოლის ინტერიერში უხვად გვხვდება, სავარაუდოდ, ადგილობრივი წარმოების კერამიკული ნაწარმი, და წარმოადგენს ექსკლუზიურ ნამუშევრებს. სიძველის მიუხედავად, განსაკუთრებულად კარგ მდგომარეობაშია შენარჩუნებული დარბაზი, სადაც განთავსებულია სცენა, ჯიბეებითა და კულისები. დარბაზში სკამები განლაგებულია სამ დონედ და ჯამში გათვლილია 400-მდე ადამიანზე. სცენის მოპირდაპირე მხარეს, მეორე იარუსზე განთავსებულია ხმისა და განათების მართვის ოთახი. დარბაზის კედლებიც, სხვა სივრცეების მსგავსად, ხის პანელებითაა მოპირკეთებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ, არქიტექტურული პროექტის შემუშავების ეტაპზე, მნიშვნელოვანია თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტილებების თანმდევად, გათვალისწინებულ იქნეს, შემორჩენილი ექსტერიერისა და ინტერიერის - განსაკუთრებით ავეჯისა და ექსკლუზიური დეკორის ადგილზე შენარჩუნება და რესტავრაცია.

ნარაზენის ყოფილი კულტურის სახლი, ზუგდიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სულ რაღაც 15 კილომეტრში, ცენტრალური საავტომობილო გზის პირას მდებარეობს და სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. სოფელ ნარაზენს, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 2479-ს[12], ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 7 სოფელი (ჭაქვინჯი, ოფაჩხაფუ, ახალსოფელი, ჯუმი, ხეცერა, აბასთუმანი, შამადელა) ესაზღვრება, მოსახლეობის საერთო რაოდენობით - 5763.  არსებული სივრცის მულტიფუნქციური შემოქმედებითი დანიშნულებით განვითარება უზრუნველყოფდა არა მხოლოდ სოფელ ნარაზენში მცხოვრებ, შემოქმედებითი ინდუსტრიებით დაკავებული/დაინტერესებული პირების საქმიანობის ხელშეწყობას, არამედ მიმდებარე სოფლების წარმომადგენლებისთვისაც შექმნიდა დამატებით, ალტერნატიულ შემოქმედებით და სამეწარმეო ინფრასტრუქტურულ რესურსს.

აღნიშნული შენობა იძლევა რესურსს, შემოქმედებით სივრცედ გარდაქმნის შემთხვევაში, აქ განთავსდეს სახელოსნოები, საერთო სამუშაო სივრცე, რამდენიმე სარეზიდენციო ოთახი, შეხვედრების ოთახი, ასევე განთავსდეს კვების ობიექტი. კულტურის ცენტრის დარბაზი, თავისი პარამეტრებიდან გამომდინარე შეიძლება დაიტვირთოს მრავალ ფუნქციურად, ის გამოდგება როგორც კონცერტების ასევე კინოჩვენებების, რომელსაც ასე მოკლებულები არიან ზუგდიდში მცხოვრები ახალგაზრდები, და სხვა ადგილობრივი თუ რეგიონული დონის ღონისძიებების ჩასატარებლად.

[12] 2014 წლის აღწერის მონაცემები

## ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში

ახალკახათის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობაში, ადგილობრივი შემოქმედებითი, სულისკვეთებით გამსჭვალული ცალკეული პირების წყალობით ჯერ კიდევ ცოცხლობს კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება. ამ გუნდს უკვე აქვს კულტურული და შემოქმედებითი მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების გამოცდილება. აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობის გარეშე, მიუხედავად იმისა რომ ის საკმარისი არაა, ეს ობიექტის შეაჩერებდა ფუნქციონირებას და შეემატებოდა მიტოვებულ ნაგებობათა გრძელ სიას და იქცეოდა უსახურ, ადარაფრის მთქმელ, ისტორიას შემორჩენილ ნაგებობად.

მიუხედავად მისი არასახარბიელო მდგომარეობისა, თავდაპირველი ფუნქცია-დანიშნულების დაკარგვისა, და უამრავი ინფრასტრუქტურული თუ მატერიალური ტექნიკური გამოწვევებისა, აქაც ნარაზენის მსგავსად, ტარდება კონცერტები, ეწყობა კინოჩვენებები და რეპეტიციებს გადის ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლი "ყილოშტყებამი" (ვეფხისტყაოსანი), რომელიც მძიმე პირობების მიუხედავად აღწევს წარმატებებს სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალებზე და ასახელებს საკუთარ კუთხეს. გარდა ამისა ახალკახათის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობაში პერიოდულად ტარდება სხვადსხვა ტიპის აქტივობები, როგორიც არის ახალგაზრდული ბანაკი, შემეცნებითი შეხვედრები და სხვა.

მეორე სართულზე რამდენიმე ოთახი  დათმობილი აქვს ბიბლიოთეკას, რომლის წიგნის ფონდი, სხვა მუნიციპალურ ბიბლიოთეკებთან შედარებით ბევრად დიდია და თანამედროვე.  აქვეა განთავსებული ზუგდიდის მერის წარმომადგენლის ოფისი.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა სტაბილურია, მისი საერთო ფიზიკური მდგომარეობა მძიმეა - ფანჯრების დიდ ნაწილი არ არის შემინული, მხოლოდ მეორე სართულზე, ბიბლიოთეკისა და მერის წარმომადგენლის ოფისის სივრცეებში განახლებულია ფანჯრები. ცენტრალური შესასვლელი კარები ნაწილობრივ კუსტარულად არის დამზადებული/ჩანაცვლებული, გვერდითა ფლიგელებში არსებული კიბის უჯრედები თავის დროზე იყო შემინული, ეხლა კი მხოლოდ ჩარჩოებიდაა ფრაგმენტულად  შემორჩენილი. შენობის უკანა მხარე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია, სადაც  განთავსებულია ერთი იძულებით  გადაადგილებულ პირთა ოჯახი, რომელსაც ნაწილობრივ ორივე სართული და შენობის უკანა ეზო აქვს ათვისებული.  გადახურვები ვერ უზრუნველყოფს შენობის ნალექებისგან დაცვას, შესაბამისად ზიანდება შენობის ინტერიერის დიდი ნაწილი, მათ შორის დარბაზიც, რომლის მდგომარეობაც მძიმეა: ნაწილობრივად მოშლილია იატაკი, შენარჩუნებულია სკამები, თუმცა არასახარბიელო მდგომარეობაში.  თავის დროზე, დარბაზი გათვლილი იყო 200-მდე ადამიანზე. კედლები, ნარაზენის ყოფილი კულტურის სახლის მსგავსად, ხის პანელებითაა მოპირკეთებული, თუმცა მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებს განახლებას ან ჩანაცვლებას. სცენას აქაც აქვს ჯიბეები, ოღონდ მისი ფართობი უფრო ნაკლებია ვიდრე ნარაზენის ცენტრში. მიუხედავად მისი მძიმე მდგომარეობისა, შენობაში არის ვიდეო აპარატურა და განათება.

ახალკახათის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა ზუგდიდიდან 13 კილომეტრში, ცენტრალური საავტომობილო გზის პირას მდებარეობს და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. სოფელ ახალკახათს, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 1170-ს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 5 სოფელი (ოქტომბერი, დარჩელი, ორსანტია, კოკი, კახათი) ესაზღვრება, მოსახლეობის საერთო რაოდენობით - 10 844.  არსებული სივრცის მუნიციპალურ შემოქმედებით ჰაბად განვითარება უზრუნველყოფდა არა მხოლოდ სოფელ ახალკახათში მცხოვრებ, შემოქმედებითი ინდუსტრიებით დაკავებული/დაინტერესებული პირების საქმიანობის ხელშეწყობას, არამედ მიმდებარე სოფლების წარმომადგენლებისთვისაც შექმნიდა დამატებით, ალტერნატიულ შემოქმედებით და სამეწარმეო ინფრასტრუქტურულ რესურსს.

არსებული ვითარებისა და მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე, აღნიშნული შენობა იძლევა რესურსს,  გარდაიქმნას მულტიფუნქციურ მუნიციპალურ შემოქმედებით ჰაბად. ამ სივრცეში შესაძლებელია განთავსდეს საერთო სამუშაო სივრცე, რამდენიმე სარეზიდენციო ოთახი, შეხვედრების ოთახი, ასევე მცირე კვების ობიექტი. დარბაზი, მისი პარამეტრებიდან გამომდინარე შეიძლება დაიტვირთოს მრავალ ფუნქციურად, ის გამოდგება როგორც კონცერტების ასევე კინოჩვენებებისა და სხვა ადგილობრივი თუ მუნიციპალური დონის ღონისძიებების ჩასატარებლად. შენობის წინ არსებულ ეზოს გააჩნია რეკრეაციულ ზონად გარდაქმნის კარგი პოტენციალი, რომელსაც შეუძლია  უმასპინძლებს სხვადასხვა აქტივობებს.

## კომბინატი – ზუგდიდის ბრაუნფილდი

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის ფარგლებში დამატებით გამოიყო ზუგდიდის მთავარი ბრაუნფილდი - ყოფილი კომბინატის ინდუსტრიული ზონა რომელსაც მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, თუმცა მისი განვითარება უფრო კომპლექსური და გრძელვადიანი საკითხია.

ენგურ ქაღალდკომბინატი თავისი მასშტაბებით და მნიშვნელობით ერთადერთი იყო მთელ საქართველოში. რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გაშლილ ამ ტერიტორიას, გარდა ინდუსტრიული ზონისა, საკუთარი სამოქალაქო ინფრასტრუქტურა გააჩნდა, რის გამოც ადგილობრივები მას ხუმრობით ქალაქში არსებულ ცალკე სახელმწიფოს უწოდებდნენ. ქარხნებისა და საწარმოების გარდა ფუნქციონირებდა, სკოლები, ბაღები, სპორტული თუ გამაჯანსაღებელი კომპლექსები, მუშათა საცხოვრებელი ზონა და სხვა მრავალი. ამ არეალს დღეს კომბინატის დასახლებით მოიხსენიებენ.

ყოფილი ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმო ზუგდიდში, მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. კომბინატი 1939 წელს ამოქმედდა (ამუშავდა ცელულოზის ორი სახარში ქვაბი და ერთი ქაღალდ საკეთებელი მანქანა). 1949 წელს დაიწყო საწარმოს რეკონსტრუქცია, დაიდგა სამი ქაღალდ საკეთებელი მანქანა, ამოქმედდა რვეულების დასამზადებელი საამქრო. 1960 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა საფუარის საამქრო, 1963 წ. — მერქნის მასის გადამამუშავებელი საამქრო, 1969 წ. — მუყაოს საამქრო და ცელულოზის სახარში ქვაბი, 1970 წ. — გოფრირებული ყუთების საამქრო, ხოლო 1975 წელს 48-ფურცლიანი რვეულების ავტომატური ხაზი, რომლის მწარმოებლურობა 40 მლნ. რვეული. კომბინატი ამზადებს: საწერ და შესაფუთ ქაღალდს, მუყაოს, საფუარს, მუყაოს ყუთებს, რვეულებს, ბლოკნოტებს, ალბომებს და სხვა.[13]
ყოფილი სააქციო საზოგადოების ადგილას, რომელიც კომბინატის ქარხანას მთლიანად ფლობდა 1996 წელს 12 სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა: ჩაის ფაბრიკა, შემკეთებელი, მუყაო, ტარა... ტერიტორია ქალაქ ზუგდიდის დასავლეთ ნაწილშია განთავსებული და დაახლოებით 55 ჰა უჭირავს. დღესდღეობით არსებობს სააქციო საზოგადოება „ზუგდიდის ქაღალდი", რომელიც ტერიტორიების ნაწილს ფლობს, დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხოლო ნაწილი პრივატიზებული, ნაწილში კი დევნილები ცხოვრობენ.[14]

დღეისათვის კომბინატის ფუნქცია სრულად დაკარგულია, ზოგიერთი შენობა დანგრეულია, ზოგი კი მიტოვებული. მხოლოდ რამდენიმე შენობაა ნაწილობრივ ათვისებული - განთავსებულია სხვადასხვა საამქრო თუ საწყობი. ტერიტორიის მხოლოდ ერთ მონაკვეთში არის შენობა ჩანაცვლებული და დღეს იქ სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტია განთავსებული.

კომბინატის მთელ ტერიტორიას დიდი პოტენციალი აქვს შემოქმედებითი კვარტლის განვითარების თვალსაზრისით, არა მხლოდ ზუგდიდის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას, ინდივიდუალური და საერთო სამუშაო სივრცეები, სახელოსნოები, რეზიდენციები, სახელოვნებო და სამრეწველო სალონები, საგამოფენო, საკონფერენციო და საკონცერტო სივრცეები, სასტუმროები, სავაჭრო, კვების ობიექტები, და სხვა. შესაბამისად, ეს იქნებოდა ურბანული შემოქმედებითი ცენტრი, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა მრავალფეროვანი მომხმარებლისა და ვიზიტორის საჭიროებები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ტერიტორიის კომპლექსურობის და ასევე დიდი ფინანსური და დროითი რესურსის საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით; შემოქმედებითი და სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ადამიანებისა, და ადგილობრივი მაცხოვრებლების აქტიური ჩართულობით. კომბინატის შემოქმედებით არეალად განვითარება შესაძლებელია ეტაპობრივად დაიგეგმოს და განხორციელდეს. პირველ ეტაპზე საჭიროა პოტენციალის, ინფრასტრუქტურული რესურსის და მისი მდგომარეობის, ასევე შემოქმედებითი და მრეწველობით საქმიანობაში არსებული გამოწვევების სათანადოდ შესწავლა, სიტუაციური ანალიზის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების მომზადების მიზნით.

შთამბეჭდავი ინდუსტრიული ზონა, რომელიც ფაქტიურად ნაგავსაყრელად იქცა, ინახავს დიდ ისტორიას. მინიმალური ხელშეწყობითა და მოვლა-პატრონობით (ნაგებობის შეფასება, უსაფრთხო და საფრთხის შემცველი არეალების მონიშვნა, საინფორმაციო მანიშნები და დაფები, და სხვა) ტერიტორიას აქვს რესურსი გახდეს ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი და მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ისტორიული მარშრუტების განვითარების გზით, კომბინატის ბრაუნფილდად ქცეული ტერიტორიის ტურისტულ ატრაქციად არსებულ მდგომარეობაშიც კი იყოს გამოყენებული.

ამგვარი მარშრუტებით ხშირად ინტერესდებიან ფოტოგრაფები, ისტორიის მოყვარულები, ქალაქების ძველი ურბანული განაშენიანებით გატაცებული, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული პირები და უბრალო ვიზიტორები, რომელთათვისაც მსგავსი სივრცეების მონახულება ერთგვარ მუზად, შემოქმედების ახალ წყაროდ იქცევა და მნახველს აძლევს შესაძლებლობას იმოგზაუროს დროსა და სივრცეში და გამოცადოს საბჭოთა ეპოქის გამორჩეული ინდუსტრიული ზონა.

[13] ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი - ვიკიპედია (wikipedia.org)
[14] Commersant.ge | ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა და ენგურქაღალდკომბინატი - რას აკეთებს ამიერკავკასიის ნომერ პირველი სამრეწველო ობიექტები დღეს

# 7 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფუნქცია დაკარგული შენობების კატალოგი

1930-იან წლებიდან მოყოლებული, ქალაქ ზუგდიდსა და სასოფლო ცენტრებში მასობრივად დაიწყო კულტურის სახლების მშენებლობა, შესაბამისად, თითქმის ყველა სოფელში არის საბჭოთა პერიოდის კულტურის სახლი, ან/და სხვა კულტურული დანიშნულების მქონე შენობა, რომელთა მდგომარეობა და ამჟამინდელი დანიშნულება არაერთგვაროვანია. თუმცა, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე და წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, არ მომხდარა თითოეული მათგანის დეტალური ინვენტარიზაცია.




რუკა 1: პროექტის ფარგლებში აღნუსხული ობიექტები

რესურსების შეფასების ეტაპზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან კონსულტაციის შედეგად, შეირჩა ის ობიექტები, რომელთა ინვენტარიზაციაც წინასწარ შერჩეული საველე ბარათების დახმარებით განხორციელდა პროექტის ფარგლებში. სულ, ასეთი 27 ობიექტი იქნა გამოვლენილი, საიდანაც 7 უშუალოდ ზუგდიდშია განლაგებული, ხოლო 20 - მუნიციპალიტეტის მთელ ტერი-ტორიაზეა გაშლილი.



# სტამბის შენობა





სტამბის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. შენობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში ე.წ. ფაიფურის დასახლებაში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ნაგებობა დაყოფილია ორ ნაწილად და შედგება სამ და ორსართულიანი ფლიგელებისგან. შენობა აშენებულია შერეული მასალით, მისი ფასადი არის გალესილი.
ვიზუალური დათვალიერებით, ობიექტი არასახარბიელო მდგომარეობაშია.

ორსართულიან ნაგებობას გარე ფასადზე გასდევს დიდი ვიტრაჟული დატიხრული ფანჯრები, ხოლო ადმინისტრაციულ შენობაზე შენარჩუნებულია ძველი ხის ფანჯრების ჩარჩოები, რომლებიც ატარებს გამორჩეულ ხასიათს - რკალისებრი მოჩარჩოება სძენს თავისებურ ხიბლს. სამსართულიანი ფლიგელის გადახურვა ორქანობიანია, ხოლო ორსართულიანი ფლიგელი ბრტყელი გადახურვითაა დასრულებული. შენობაში და მის მიმდებარედ ჩანს სხვადასხვა სასტამბო დანადგარი, რომელიც უფუნქციოდ არის მიტოვებული.

1990-იანი წლებიდან შენობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ცხოვრობენ.



# ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I და II კორპუსი





ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I და II კორპუსი აშენებულია 1984 წელს. ისინი მდებარეობს ქ. ზუგდიდში და წარმოადგენს კერძო საკუთრებას.

შენობები 5 სართულიანია და ნაგებია რკინაბეტონის კარკასით, ხოლო საკედლე მასალად გამოყენებულია ბლოკი. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ ორივე შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, და როგორც ჩანს ბოლო წლებშია გარემონტებული, საფასადე ფანჯრების უმეტესობა არის მეტალოპლასტმასის. ზდუ I კორპუსში თავდაპირველად ფუნქციონირებდა მეთორმეტე სამშენებლო ტრესტი, ხოლო II კორპუსში - სპეც. კომენდატურა. 1992-93 წლებიდან შენობის ნაწილი დათმობილი აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს.

* ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (ზდუ) 1991 წელს დაარსდა. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროის სამეგრელოში. უნივერსიტეტს აკრედიტაცია 2012 წელს შეუწყდა.

# პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა










პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილი შენობა 1970-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს ზუგდიდის ცენტრში, ტექნოპარკის მიმდებარედ. შენობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. ოთხსართულიანი შენობა, გეგმაში რუსული პ-სებრი ფორმისაა. შენობა გარედან შელესილია. ვიზუალური დათვალიერებით შენობის მდგომარეობა სტაბილურია. გარდა სალექციო და საცხოვრებელი სივრცეებისა, შენობას გააჩნია დიდი სპორტდარბაზი, რომელსაც მარჯვენა ფლიგელში მესამე-მეოთხე სართული უჭირავს. აღნიშნულ შენობაში განთავსებული იყო ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯი.

მოგვიანებით, 1996 წელს, აუდიტორიები დაეთმო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალს. პარალელურად, აქვე, მოგვიანებით შენობის ნაწილში შესახლებული იყვნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი უფუნქციოდაა დარჩენილი, ხოლო ნაწილი ისევ რჩება იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილად.

*პოლიტექნიკური კოლეჯი 1930 წელს დაარსდა, ხოლო ფუნქციონირება 2008 წელს შეწყვიტა.

# საავადმყოფოს შენობა კომბინატის დასახლებაში







შენობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში კომბინატის დასახლებაში  და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. შენობა 1989 წელს აშენდა როგორც საავად-მყოფო, თუმცა არასოდეს უფუნქციონირია ამ დანიშნულებით. ოთხსართულიანი შენობა, არის მიტოვებული ნახევრად მშენებარე მდგომარეობაში, დათვალიერების შედეგად ჩანს რომ სამშენებლო სამუშაოები არ არის დასრულებული. შენობა აშენებულია რკინ-ბეტონის კონსტრუქციით, ფასადის კედლები ამოყვანილია აგურითა და მსხვილი ბლოკით, ფასადის კედლები არ არის გალესილი. შენობა გადახურულია ორქანობიანი სახურავით და დაფარულია ლითონის ფურცლით.

ამჟამად შენობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ცხოვრობენ.










# სარეაბილიტაციო ცენტრი კომბინატის დასახლებაში

სარეაბილიტაციო ცენტრის შენობა აშენებულია 1985 წელს. ის მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, ე.წ. კომბინატის დასახლებაში და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ორსართულიანი შენობა მოპირკეთებულია ქვის ფილებით და ის არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ობიექტს წარმოადგენს: შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია დიდი შიდა ეზო. ცენტრალურ ფასადი დეკორირებულია - მთელ სიგრძეზე მიუყვება "ამობრუნებული თაღედი", რომლის ფორმას იმეორებს ღიობები. მისი ცენტრალური ნაწილი ეთმობა მთავარ შესასვლელს, რომელიც გადახურულია მასიური წინფრით. ამავე ფასადზეა განთავსებული წარწერები შენობის ფუნქციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე. გვერდითა ფასადები შედარებით სადაა, თუმცა ამ ფასადებზეც გვხვდება აქცენტები - სწორკუთხა ღიობებს ლუნეტების რიგი ენაცვლება. ზუგდიდის კომბინატის სარეაბილიტაციო ცენტრი აღჭურვილი ყოფილა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ინვენტარით და ფუნქციონირებდა დიაგნოსტიკური ლაბორატორია. შენობა ამჟამად უფუნქციოა.

# სპორტკომპლექსი კომბინატის დასახლებაში



სპორტკომპლექსის შენობა სავარაუდოდ მეოცე საუკუნის 80-იან წლების პირველ ნახევარშია აშენებული. სამ სართულიანი შენობა, მდებარეობს ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ქუჩის მხარეს შენობის თითქმის სრულ ფასადს ფარავს მოზაიკა. ვიზუალური დათვალიერებით შენობა მყარია.

სპორტკომპლექსი ემსახურებოდა ადგილობრივ და ჩამოსულ სპორტსმენებს. აქ  განთავსებული იყო კალათბურთის მოედანი, სავარჯიშო დარბაზი და საცურაო აუზი.

ამჟამად შენობა უფუნქციოა.



# საბჭოს შენობა

ყოფილი საბჭოს შენობა ანაკლიაში, აგებულია მეოცე საუკუნის შუა წლებში. მასში სხვადასხვა პერიოდში განთავსებული იყო ადგილობრივი, სოფლის მმართველობითი სტრუქტურული ერთეულები (საბჭო, გამგეობა, ადმინისტრაცია).

შენობა მდებარეობს სოფელ ანაკლიაში, ზუგდიდიდან 30 კილომეტ-



სართულის დონეზე ამ ნაწილში მოწყობილია შესასვლელი, ხოლო მეორე - სართულზე აივანი.

ვიზუალური დათვალიერებით მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ჩანს, რომ ფასადები გასულ წლებშია გადაღებილი, ხოლო ინტერიერი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. ასევე, ცნობილია, რომ შენობის გადა- დაახლოებით 10 წლის წინ ლა, თუმცა ამჟამად მას ვს პრობლემები.

დ შენობა უფუნქციოა.







# კლუბ-კანტორის შენობა





ყოფილი კლუბ-კანტორა ახალკახათში 1980-იან წლებში აშენდა. ორსართულიანი შენობა მდებარეობს სოფელ ახალკახათში, ზუგდიდიდან 13 კილომეტრში და ის სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციითაა აშენებული. პირველი სართულის წინა ნაწილი საკონცერტო დარბაზს ეთმობა (ტევადობა 300-350 ადამიანი). შენობის ზოგადი მდგომარეობა ცუდია, საჭიროებს საფუძვლიან ინტერვენციას. ამჟამად შენობის სახურავი ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას ნალექებისგან.

თავდაპირველად აქ განთავსებული იყო სოფლის კლუბი და კანტორა (ადგილობრივი, სოფლის ადმინისტრაცია), ეწყობოდა სხვადასხვა სახის კულტურული, შემოქმედებითი ღონისძიებები და ადგილობრივი მოსახლეობის ყრილობები.

მიუხედავად მდგომარეობისა, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობითა და კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებული ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით, შენობა მეტ-ნაკლებად დღესაც ინარჩუნებს პირველად ფუნქციას: აქ განთავსებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მერის წარმომადგენლობა. ასევე, ორ ოთახში განთავსებულია სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც გამოირჩევა მთელ მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი და განახლებული წიგნადი ფონდით. გარდა ამისა, შენობის დარბაზი აღჭურვილია ტექნიკით. დარბაზის სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, აქ პერიოდულად ეწყობა კინო ჩვენებები, კონცერტები და სხვა ტიპის კულტურული და შემოქმედებითი აქტივობები, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს. ასევე, ამავე შენობის დარბაზს სარეპეტიციოდ იყენებს ადგილობრივი ახალგაზრდული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი “ყილოშტყებამი” (ვეფხისტყაოსანი).

ხოლო, შენობის უკანა ნაწილი დათმობილი აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ ოჯახს.







# სასაწყობო შენობა

ერთსართულიანი შენობა მდებარეობს სოფელ განმუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.

შენობა ანაკრები კონსტრუქციითაა ნაშენი. ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია, ვინაიდან გარშემორტყმულია მაღალი მცენარეული საფარით. შორიდან ვიზუალური დაკვირვებით, მისი მდგომარეობა ცუდია. შენობა სავარაუდოდ კომპლექსის ნაწილია, რომლის სავარაუდოდ მთავარი შენობა ამჟამად პოლიციასა და საგანგებო მდგომარეობის სამსახურს აქვს დათმობილი.

საბჭოთა პერიოდის ინდუსტრიული ფუნქციის შენობა სხვადასხვა დროს ასრულებდა ბლოკის ქარხნის და სასაწყობო შენობის ფუნქციას.

ამჟამად შენობა უფუნქციოდაა დატოვებული.





# საბავშვო ბაღის შენობა



ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა მდებარეობს სოფელ განმუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. ხის ერთსართულიანი შენობის მდგომარეობა მძიმეა.

შენობაში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი. 1990-იან წლებში აქ ცხოვრობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთი ოჯახი.

ბოლო ათწლეულია შენობა უფუნქციოა.

# მეურნეობის შენობა



ყოფილი მეურნეობის შენობა მდებარეობს სოფელ განმუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ვიზუალური დათვალიერებით შენობა ცუდ მდგომარეობაშია საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. ახლოს მისვლა ვერ მოხერხდა, რადგან გარშემო ტერიტორია შემოღობილია. თუმცა ჩანს რომ არის რკინა ბეტონის ერთ სართულიანი ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა სასაწყობო ფუნქცია.

შენობას საბჭოთა პერიოდში ჰქონდა მეურნეობის დამხმარე შენობის ფუნქცია. 1990-იან წლებში შენობა რამდენიმე წლით დაეთმო იძულებით გადაადგილებულ პირებს.



2000-იანი წლების დასაწყისიდან შენობა უფუნქციოდაა დატოვებული, ამჟამად ის ემიჯნება სამხედრო დანიშნულების ობიექტს და შესაბამისად მისი განვითარება შეზღუდულია.







# კოოპერატივის შენობა

ზედაეწერის ყოფილი კოოპერატივის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის ზუგდიდიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ორსართულიანი შენობის, პირველი სართული ცენტრალურ ნაწილში გამჭოლადაა გახსნილი. ფასადები შელესილია და არ აქვს დეკორი. ვიზუალური დათვალიერებით შენობა არასახარბიელო მდგომარეობაშია - შენობას აკლია ფანჯრები, დაზიანებულია გარე კედელი, დამწვარია ერთი მონაკვეთი, კედლები დაბზარულია.

შენობის მიმდებარედ განთავსებულია 9 აპრილის მემორიალი, ასევე საბჭოთა პერიოდის საინტერესო მოზაიკის ნიმუში.

ამჟამად შენობაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისი. შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს.

# აუზის შენობა









აუზის ძველი შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ზედაეწერში, ზუგდიდიდან 10 კილომეტრის დაშორებით. შენობა წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

რკინაბეტონის ორსართულიანი კარკასული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია აუზი, ხოლო დანარჩენი ფართი დათმობილი იყო მომსახურების და გამაჯანსაღებელი აქტივობების ზონებს. შენობას ზედა ნაწილზე ეპოქისათვის დამახასიათებელი, თემატური მოზაიკა ამშვენებს. შენობა ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

აუზი სასწავლო კოლეჯის კომპლექსის ნაწილი იყო და განკუთვნილი იყო სტუდენტებისთვის.

ამჟამად შენობა, ისევე როგორც კომპლექსის დიდი ნაწილი, უფუნქციოდაა.

# სოფლის კლუბის შენობა







ყკახათის ყოფილი კლუბი აშენებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. შენობა მდებარეობს სოფელ კახათში, ზუგდიდიდან 11 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ნაგებობა ერთსართულიანია. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობა კონსტრუქციულად მყარია, თუმცა საჭიროებს სრულმასშტაბიან რეკონსტრუქციას. შენობის ფასადი სრულად არის დაფარული მცენარეებით. შენობაში განთავსებულია დიდი დარბაზი, სადაც სცენაც ყოფილა. აღნიშნული დარბაზის ორივე მხარეს სდევს ფანჯრები. დარბაზის იატაკი ამჟამად მიწის დონემდეა დაწეული. ნაგებობის დამხმარე სივრცეებში ჩანს ხის იატაკი.

შენობა წარმოადგენდა სოფლის კლუბს, რომელშიც იმართებოდა კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები, მათ შორის კინოჩვენებები.

შენობა ამჟამად უფუნქციოა.







# ამბულატორიის შენობა

ყოფილი ამბულატორია დაახლოებით აშენებულია 1960-იან წლებში, მდებარეობს სოფელ კახათში, ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 10 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ორსართულიანი შენობა, აშენებულია აგურით და გარედან შელესილია. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობა კონსტრუქციულად მეტნაკლებად მყარია, თუმცა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. მორღვეულია სართულშუა გადახურვები, აკლია კარფანჯრები, ასევე ნაწილობრივ მოშლილია შიდა ტიხრები და სახურავი.

ნაგებობას მიმზიდველ და რომანტიულ ელფერს ანიჭებს მთავარი ფასადის მარჯვენა ჩამოშლილ კუთხეში ამოსული ხე, რომლის ტოტებიც იმეორებენ ნაგებობის კონტურს.

1990-იან წლებში შენობა დათმობილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებული პირთა ოჯახებს.

ამჟამად შენობა უფუნქციოა და საჭიროებს რეაბილიტაციას.

# კულტურის სახლის შენობა

ნარაზენის ყოფილი კულტურის სახლი, სავარაუდოდ, აშენებულია 1960-1970-იან წლებში. შენობა მდებარეობს სოფელ ნარაზენში ცენტრალური გზის პირას. ზუგდიდიდან 15 კილომეტრში და წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შენობა წინა მხრიდან ორსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან - სამსართულიანი და ნაგებია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ კონსტრუქცია მდგრადია. სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია. შენობას თითქმის სრულად აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი იერსახე, განსაკუთრებით კარგად არის შენარჩუნებული ინტერიერი. კედლები ხის პანელებით არის მოპირკეთებული, რომლის მდგომარეობაც საკმაოდ კარგია, ასევე ინტერიერში დეკორის სახით გვხვდება ხელნაკეთი კერამიკული ელემენტები, ასევე შენარჩუნებულია ავეჯისა და ინვენტარის დიდი ნაწილი. შენობაში არის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომლის მდგომარეობაც ასევე საკმაოდ კარგია, კარგ მდგომარეობაშია თავად სცენაც. შენობის მეორე სართულზე არის ადმინისტრაციული ოთახები და დიდი ვერანდა.

კულტურის სახლი თავდაპირველად ემსახურებოდა, როგორც სოფელ ნარაზენს, ასევე მიმდებარე სოფლებსაც.

ამჟამად შენობაში მოქმედებს სოფლის ბიბლიოთეკა, ასევე საკონცერტო დარბაზში პერიოდულად ტარდება კულტურული აქტივობები და რეპეტიციებს გადის ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი.





# კოოპერატივის შენობა



ოდიშის კოოპერატივის შენობა სავარაუდოდ 1980-იანი წლების დასაწყისშია აგებული და მდებარეობს სოფელ ოდიშის ცენტრალურ ნაწილში, მთის თხემზე, ზუგდიდიდან 6 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

შენობა ორსართულიანია, პირველი სართული ნაგებია ბლოკით და შელესილია, ხოლო მეორე სართული ხისაა. ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა ადგილობრივებზე დაყრდნობით, შენობას ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ მისი 80% დაზიანებულია.

მართალია ამჟამად საკადასტრო მონაცემების მიხედვით შენობა ცალკე მიწის ნაკვეთზეა განლაგებული, თუმცა ჩანს, რომ თავდაპირველად შენობა ამჟამინდელ გამგეობის შენობასთან ერთად, ერთ დიდი მიწის ნაკვეთზე იყო განლაგებული და ერთი კომპლექსის ნაწილებს წარმოადგენდა.

1990-იანი წლებიდან შენობაში იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობდნენ, თუმცა რამდენიმე წლის წინ, სახელმწიფომ უზრუნველყო მათი გადაყვანა და ამჟამად შენობა ძირითადად დაცლილია - რამდენიმე ოთახში ჯერ კიდევ ინახება მაცხოვრებელთა პირადი ნივთები.







# კანტორის შენობა





ყოფილი კანტორის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ორსანტიაში ცენტრალური გზის პირას, ზუგდიდიდან 17 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ვიზუალური დათვალიერებით მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თავდაპირველად შენობა წარმოადგენდა სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრს და აქვე იყო განთავსებული სალარო.

ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს.



# პროფკავშირების კულტურის სახლის შენობა

ყოფილი პროფკავშირების კულტურის სახლის შენობა სავარაუდოდ 1960-იანი წლებ-ში აშენებული. ის სოფელ ორსანტიაში, ცენტრალური გზის პირას, ზუგდიდიდან 17 კილომეტრში მდებარეობს და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ორსართულიანი შენობა ნა-გებია კარკასული რკინაბე-ტონის კონსტრუქციით. ვი-ზუალური დათვალიერებით შენობა მეტ-ნაკლებად მდგრა-დია. ორსართულიანი შენო-ბა გარედან შელესილია, ღი-ობებს დეკორატიული ჩარჩო შემოუყვება. ფანჯრების უმ-რავლესობაში შუშები ჩამტვ-რეულია.

შენობა თავდაპირველად კულტურის სახლს წარმოად-გენდა, სადაც იმართებოდა კულტურული ღონისძიებები მათ შორის კინო ჩვენებები.

ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს. მათ შენობას უკანა მხარეს მიამა-ტეს სივრცე, რომელიც ამჟა-მად გამოიყენება ცხოველე-ბის სადგომად.







# რესტორნის შენობა









რესტორანი „მეგობრობა" 1970-იან წლებში აშენდა. შენობა სოფელ რუხში, ზუგდიდიდან 9 კილომეტრში, გზის გასწვრივ - ფერდზე მდებარეობს. შენობა კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

ორსართულიანი შენობა ციცაბო ფერდზეა შეფენილი და მიუყვება მის რელიეფს. ერთი მხრიდან შენობა ერთსართულიანია, ხოლო მეორე მხრიდან - სამსართულიანი.

შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციითაა ნაგები, და მოპირკეთებულია ნატეხი ქვისა და აგურის შერეული წყობით. ვიზუალური დათვალიერებით, შენობა კონსტრუქციულად მყარია, თუმცა მას არ აქვს კარ-ფანჯრები, ასევე გადახურვა დაზიანებულია, ნაწილობრივ დაფარულია მცენარეული საფარით.

ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, თავის დროზე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა 1990-იან წლებში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დარჩა უფუნქციოდ.

# ადმინისტრაციული შენობა







ყოფილი ადმინისტრაციული შენობა 1970-80-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ტყაიაში, გამსახურდიას ქუჩაზე, გზის პირას. შენობა წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ორსართულიან შენობაში განთავსებულია საკონცერტო დარბაზი, რომლის ჭერი და იატაკი ნაწილობრივ დაზიანებულია. გარდა დარბაზისა, მას გააჩნია დამხმარე ოთახები, რომელიც განთავსებულია მეორე სართულზე. ფასადის მთელ სიგრძეზე მიუყვება აივანი. ვიზუალური დათვალიერებით შენობა კონსტრუქციულად მდგრადია დაწყებულია ეზოს კეთილმოწყობა, რომელის ფარგლებშიც უკვე აღჭურვილია ბაღის სკამებითა და სანაგვე ურნებით.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ის წარმოადგენდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს.

ამჟამად შენობა არის უფუნქციო, თუმცა მისი ეზო გამოყენებულია სარეკრეაციო სივრცედ.





# სასურსათო მაღაზიის შენობა

ყოფილი სასურსათო მაღაზია 1960-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჭკადუაში, ზუგდიდიდან 16 კილომეტრში და წარმოადგენს ზუგდიდის მუნიცი პალიტეტის საკუთრებას.

ორსართულიანი შენობა მსხვილი ბლოკითაა ნაგები. ვიზუალურად შენობა საკმაოდ მყარია. მეორე სართულზე აქვს აივანი, რომლის მოაჯირიც სავარაუდოდ ჩამოსხმულია. მოაჯირებზე გამოსახულია ორნამენტი, რომელიც ერთგვარ ექსკლუზიურობას მატებს ნაგებობას.

შენობა ამჟამად  უფუნქციოა.

# კულტურის სახლის შენობა





ჭკადუაშის კულტურის სახლი 1980-70-იან წლებშია აშენებული.
ის მდებარეობს სოფელ ჭკადუაშში, ზუგდიდიდან 16 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შენობა ორსართულიანია, რკინაბეტონის კონსტრუქციით. ვიზუალური დათვალიერებით მისი კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შენობის ერთიანი ფიზიკური მდგომარეობა ცუდია: დაზიანებულია ნალესობები, ფანჯრებში მინები არ არის, გადახურვები დაზიანებულია.

შენობა სასოფლო მნიშვნელობის კულტურის სახლს წარმოადგენდა.

ამჟამად შენობა უფუნქციოდაა დარჩენილი, თუმცა ერთ-ერთ ოთახში ფუნქციონირებს წისქვილი.

# კულტურის სახლის შენობა



ჯიხაშკარის კულტურის სახლი სავარაუდოდ 1970-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჯიხაშკარში საავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 12 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

გეგმაში სწორკუთხა, ორსართულიანი შენობა აშენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციით. გარედან შენობა შელესილია. პირველი სართული გარე კონტურიდან ერთი მალითაა შეწეული, რაც ხელს უწყობს მეორე სართულის აქცენტირებას, რომელიც თავის მხრივ მთავარი ფასადის მხრიდან დაყრდნობილია პირველ სართულზე მოწყობილ სწორკუთხა სვეტებს და მოწყობილია აივანი.

შენობა არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშია: ერთი შეხედვით სტანდარტული პროექტის მიხედვითაა აშენებული, თუმცა გააჩნია ინდივიდუალური მახასიათებლები - მოწყობილია ვიტრაჟული გალერეები პირველი სართულის დონეზე, საყრდენ სვეტებთან ერთად საყრდენად გამოყენებულია ფუნქციური და არქიტექტურული ელემენტები, შენობის ეზოში მოწყობილია დეკორატიული გამწვანება. ვიზუალური დათვალიერებით, შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

კულტურის სახლის ეზოს განაპირას (ამჟამად სხვა საკადასტრო ერთეულია), ხარების სახელობის ტაძარია, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ უნდა იყოს აშენებული. ეზოები ფიზიკურად არ არის გამიჯნული.

1990-იანი წლების დასაწყისში შენობამ თავდაპირველი ფუნქცია დაკარგა. ამჟამად, შენობის ნაწილში განთავსებულია საბავშვო ბაღი.







# სავაჭრო ცენტრის შენობა





სავაჭრო ცენტრი 1980-იან წლებშია აშენებული. ის სოფელ ჯიხაშკარში საავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 12 კილომეტრში მდებარეობს და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ერთსართულიანი შენობა აშენებულია რკინაბეტონით. ვიზუალური დათვალიერებით, შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ნაგებობის წინა ფასადი სრულად შემინული ყოფილა, ხოლო გვერდითა ფასადები - ნაწილობრივ. შენობის შიდა სივრცე წინა მხარეს ერთიანია, ხოლო უკანა მხარეს არის რამდენიმე სათავსო და ადმინისტრაციული ოთახი. შენობას აქვს უკანა ეზო, სადაც დეკორატიული აუზი ყოფილა.

ობიექტის გვერდით გაყვანილია არხი, რომელიც ძალიან ახლოსაა შენობასთან. არხი აზიანებს გრუნტს, როგორც ჩანს გასულ წლებში ნაპირი გაბიონებით გაუმაგრებიათ.

ობიექტმა 1990-იან წლებში დაკარგა თავისი ფუნქცია და დღემდე უფუნქციოდაა. დაგეგმილია შენობის პრივატიზება.



# კოლმეურნეობის შენობა

ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჯუმში, ზუგდიდიდან 7 კილომეტრში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ორსართულიანი შენობა ნაგებია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. ვიზუალური დათვალიერებით, შენობის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შენობის თავდაპირველი ეზო, ამჟამად გაყოფილია, რომლის ნაწილზეც აშენებულია საბავშვო ბაღი და განთავსებულია საბავშვო გასართობი მოედანი.

ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვს სოფლის ადმინისტრაცია. ასევე, შენობის პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში განთავსებულია სტომატოლოგიური კლინიკა.







# გამოყენებული მასალები


– ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიასა - (2022-2026);

– ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია - (2019-2022);

– გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების შესახებ. ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები - 2022;

– ქრაუდფანდინგის ღონისძიების გზამკვლევი" - 2021.

– ინფორმაცია ინგირის აეროპორტის შესახებ - https://1tv.ge/news/mitovebuli-shenobebi-samegreloshi-istoriis-utyvi-motsmeebi/;

– ინფორმაცია ზუგდიდის ბიბლიოთეკის შესახებ - https://jam-news.net/ge/mitovebuli-bibliotekebi-dasavlet-saqartveloshi-ra-tom-ver-izidavs-isini-akhalgazrdebs/;

– გამოყენებითი ხელოვნების და ხალხური რეწვის ოსტატებისთვის მულტიფუნქციური შენობის განთავსების პროექტის "მო-ზაიკა" კონცეფცია;

– ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ -2014 წლის აღწერის მონაცემები;

– ინფორმაცია ყოფილი ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოს შესახებ - ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინა-ტი - ვიკიპედია (wikipedia.org);

– ინფორმაცია ყოფილი კომბინატის საკუთრების შესახებ - Commersant.ge | ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა და ენგურქაღალდ-კომბინატი - რას აკეთებს ამიერკავკასიის ნომერ პირველი სამრეწველო ობიექტები დღეს

# მონაცემთა ბაზა

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 01 | **ყოფილი კოოპერატივის შენობა ოდიშში** | | |
| | მისამართი:<br><br>კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, სოფელი ოდიშ<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.08.41.994<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>370 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>1269 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br>ოდიში-ყოფილი კოოპერატივის ოფისი | ოდიშის კოოპერატივის შენობა სავარაუდოდ 1980-იანი წლების დასაწყისშია აგებული და მდებარეობს სოფელ ოდიშის ცენტრალურ ნაწილში, მთის თხემზე, ზუგდიდიდან 13 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>შენობა ორსართულიანია, პირველი სართული ნაგებია ბლოკით და შელესილია, ხოლო მეორე სართული ხისაა. ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა ადგილობრივებზე დაყრდნობით, შენობას ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ მისი 80% დაზიანებულია.<br><br>მართალია ამჟამად საკადასტრო მონაცემების მიხედვით შენობა ცალკე მიწის ნაკვეთზეა განლაგებული, თუმცა ჩანს რომ თავდაპირველად შენობა ამჟამინდელ გამგეობის შენობასთან ერთად ერთ დიდი მიწის ნაკვეთზე იყო განლაგებული და ერთი კომპლექსის ნაწილებს წარმოადგენდა.<br><br>1990-იანი წლებიდან შენობაში იძლულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობდნენ, თუმცა რამდენიმე წლის წინ,  სახელმწიფომ უზრუნველყო მათი გადაყვანა და ამჟამად შენობა ძირითადად დაცლილია - რამდენიმე ოთახში ჯერ კიდევ ინახება მაცხოვრებელთა პირადი ნივთები. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 0 2 | ყოფილი კოოპერატივის შენობა ზედაეწერში | | |
| | მისამართი:<br><br>სოხუმის ქუჩა, სოფელი ზედაეწერი<br>საკადასტრო კოდი:<br><br>საკუთრების ფორმა:<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>300 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br>ზედაეწერი–კოოპერატივის შენობა | ზედაეწერის ყოფილი კოოპერატივის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის ზუგდიდიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.<br>ორსართულიანი შენობის, პირველი სართული ცენტრალურ ნაწილში გამჭოლადაა გახსნილი. ფასადები შელესილია და არ აქვს დეკორი. ვიზუალური დათვალიერებით შენობა არასახარბიელო მდგომარეობაშია – შენობას აკლია ფანჯრები, დაზიანებულია გარე კედელი, დამწვარია ერთი მონაკვეთი, კედლები დაბზარულია.<br>შენობის მიმდებარედ განთავსებულია 9 აპრილის მემორიალი, ასევე საბჭოთა პერიოდის საინტერესო მოზაიკის ნიმუში.<br>ამჟამად შენობაში განთავსებულია  ბიბლიოთეკა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისი. ხოლო შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 0 3 | ყოფილი კულტურის სახლის შენობა ჭკადუაში | | |
| | მისამართი:<br><br>შოთა რუსთაველის ქუჩა, სოფელი ჭკადუაში<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.02.42.245<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1300 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>6995 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ჭკადუაშის კულტურის სახლი 1980-70-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჭკადუაში, ზუგდიდიდან 11 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიი-პალიტეტის საკუთრებას.<br><br>შენობა ორსართულიანია, რკინაბეტონის კონსტრქუციით. ვიზუალური დათვალიერ-ებით მისი კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შენობის ერ-თიანი ფიზიკური მდგომარეობა ცუდია: და-ზიანებულია ნალესობები, ფანჯრებში მინები არ არის, გადახურვები დაზიანებულია.<br><br>შენობა სასოფლო მნიშვნელობის კულტურის სახლს წარმოადგენდა.<br><br>ამჟამად შენობა უფუნქციოდაა დარჩენილი, თუმცა ერთ-ერთ ოთახში ფუნქციონირებს წისქვილი. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 0 4 | ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობა ჭკადუაში | | |
| | მმისამართი:<br><br>შოთა რუსთაველის ქუჩა, სოფელი ჭკადუაში<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.02.41.212<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>500 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>1003 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი სასურსათო მაღაზია 1960-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჭკადუაში, ზუგიდიდან 11 კილომეტრში და წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიიპალიტეტის საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა მსხვილი ბლოკითაა ნაგები. ვიზუალურად შენობა საკმაოდ მყარია. მეორე სართულზე აქვს აივანი, რომლიც მოა-ჯირის სავარაუდოდ ჩამოსხმულია. მოაჯირებზე გამოსახურლია ორნამენტი, რომელიც ერთგვარ ექსკლუზიურობას მატებს ნაგებობას.<br><br>შენობა ამეამად უფუნქციოა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 0 5 | ყოფილი აუზის შენობა ზედაეწერი | | |
| | მისამართი:<br><br>სოფელი ზედაეწერი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.01.47.261<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>600 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>44726 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | აუზის ძველი შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ზედაეწერში, ზუგდიდიდან 15 კილომეტრის დაშორებით. შენობა წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.<br><br>რკინაბეტონის ორსართულიანი კარკასული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია აუზი, ხოლო დანარჩენი ფართი დათმობილი იყო მომსახურების და გამაჯანსაღებელი აქტივობების ზონებს. შენობა ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.<br><br>აუზი სასწავლო კოლეჯის კომპლექსის ნაწილი იყო და განკუთვნილი იყო სტუდენტებისთვის.<br><br>ამჟამად შენობა, ისევე როგორც კომპლექსის დიდი ნაწილი, უფუნქციოდაა. |  |

<table>
<tr><td colspan="4">ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა</td></tr>
<tr><td>N</td><td>შენობის მონაცემები</td><td>შენობის აღწერა</td><td>ფოტო</td></tr>
<tr><td rowspan="2">0 6</td><td colspan="3">ყოფილი საბჭოს შენობა ანაკლიაში</td></tr>
<tr><td>მისამართი:<br><br>შოთა რუსთაველის ქუჩა №91, ანაკლია<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.30.46.082<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>560 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>575 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:</td><td>ყოფილი საბჭოს შენობა ანაკლიაში, აგებულია მეოცე საუკუნის შუა წლებში. მასში სხვადასხვა პერიოდში განთავსებული იყო ადგილობრივი, სოფლის მმართველობითი სტრუქტურული ერთეულები (საბჭო, გამგეობა, ადმინისტრაცია). შენობა  მდებარეობს სოფელ ანაკლიაში, ზუგდიდიდან 30 კილომეტრში და წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიპალიტეტის საკუთრებას.<br><br>შენობა ორსართულიანია, რკინა-ბეტონის კონსტრუქციით.  შენობას მთავარი ფასადზე, ცენტრალურ ნაწილში მიუყვება დეკორატიული თაღედი, რომელიც ორივე სართულზე ვრცელდება. პირველი სართულის დონეზე ამ ნაწილშია მოწყობილი შესასვლელი, ხოლო მეორე სართულზე აივანია.<br><br>ვიზუალური დათვალიერებით მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ჩანს, რომ ფასადები გასულ წლებშია გადაღებილი, ხოლო ინტერიერი სარემონტოა. ასევე, ცნობილია, რომ შენობის გადახურვა დაახლოებით 10 წლის წინ შეიცვალა, თუმცა ამეამად მას ისევ აქვს პრობლემები.<br><br>შენობა ამეამად უფუნქციოა.</td><td></td></tr>
</table>

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 07 | ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა ახალქახათში | | |
| | მისამართი:<br><br>შოთა რუსთაველის ქუჩა №91, სოფელი ახალქახათი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.22.41.861<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>500 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>4641 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი კლუბ-კანტორა ახალქახათში დაახლოებით 1970-80-იან წლებში აშენდა. ორსართულიანი შენობა მდებარეობს სოფელ ახალქახათში, ზუგდიდიდან 13 კილომეტრში და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციითაა აშენებული. პირველი სართულის წინა ნაწილი საკონცერტო დარბაზს ეთმობა (ტევადობა 300-350 ადამიანი). შენობის ზოგადი მდგომარეობა ცუდია, საჭიროებს საფუძვლიან ინტერვენციას. ამჟამად შენობის სახურავი ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას ნალექებისაგან.<br><br>რველად აქ განთავსებული იყო სოფლის კლუბი და კანტორა (ადგილობრივი, სოფლის ადმინისტრაცია), ეწყობოდა სხვადასხვა სახის კულტურული, შემოქმედებითი ღონისძიებები და ადგილობრივი მოსახლეობის ყრილობები.<br><br>მიუხედავად მდგომარეობისა, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობითა და კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებული ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით, შენობა მეტ-ნაკლებად დღესაც ინარჩუნებს პირველად ფუნქციას: აქ განთავსებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მერის წარმომადგენლობა. ასევე, ორ ოთახში განთავსებულია სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც გამოირჩევა მთელ მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი და განახლებული წიგნადი ფონდით. გარდა ამისა, შენობის დარბაზი აღჭურვილია ტექნიკით. დარბაზის სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, აქ პერიოდულად ეწყობა კინო ჩვენებები, კონცერტები და სხვა ტიპის კულტურული და შემოქმედებითი აქტივობები, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს. ასევე, ამავე შენობის დარბაზს სარეპეტიციოდ იყენებს ადგილობრივი ახალგაზრდული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ყილოშტყებამი" (ვეფხისტყაოსანი).<br><br>ხოლო, შენობის უკანა ნაწილი დათმობილი აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ ოჯახს. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 08 | ყოფილი სასაწყობე შენობა განმუხურში | | |
| | მისამართი:<br><br>ზვიად გამსახურდიას ქუჩა, სოფელი განმუხური<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.29.41.435<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ერთსართულიანი შენობა მდებარეობს სოფელ გამუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.<br><br>შენობა ანაკრები კონსტრუქციითაა ნაშენი. ამეამინდელი მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია, ვინაიდან გარშემორტყმულია მაღალი მცენარეული საფარით. შორიდან ვიზუალური დაკვირვებით, მისი მდგომარეობა ცუდია. შენობა სავარაუდოდ კომპლექსის ნაწილია, რომლის სავარაუდოდ მთავარი შენობა ამეამად პოლიციასა და საგანგებო მდგომარეობის სამსახურს აქვს დათმობილი.<br><br>საბჭოთა პერიოდის ინდუსტრიული ფუნქციის შენობა სხვადასხვა დროს ასრულებდა ბლოკის ქარხნის და სასაწყობე შენობის ფუნქციას.<br><br>ამეამად შენობა უფუნქციოდაა დატოვებული. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 0 9 | ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა განმუხურში | | |
| | მისამართი:<br><br>ზვიად გამსახურდიას ქუჩა N156, სოფელი განმუხური<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.29.43.274<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>688 მ2<br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა მდებარეობს სოფელ განმუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.<br><br>ხის ერთსართულიანი შენობის მდგომარეობა მძიმეა, გარეგნულად ეტყობა ხანძრის კვალი.<br><br>შენობაში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი. 1990-იან წლებში აქ ცხოვრობდა იძულებით გადაადგილებული პირთა ერთი ოჯახი.<br><br>ბოლო ათწლეულია შენობა უფუნქციოა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 10 | ყოფილი მეურნეობის შენობა განმუხურში | | |
| | მისამართი:<br><br>ზვიად გამსახურდიას ქუჩა, სოფელი განმუხური<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.29.41.079<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>5111 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი მეურნეობის შენობა მდებარეობს სოფელ განმუხურში, ზუგდიდიდან 25 კილომეტრში და წარმოადგენს წახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ვიზუალური დათვალიერებით შენობა ცუდ მდგომარეობაშია  საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. ახლოს მისვლა ვერ მოხერხდა, რადგან გარშემო ტერიტორია შემოლობილია. თუმცა ჩანს რომ არის რკინა ბეტონის ერთ სართულიანი ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა სასაწყობე ფუნქცია.<br><br>შენობას საბჭოთა პერიოდში ჰქონდა მეურნეობის დამხმარე შენობის ფუნქცია. 1990-იან წლებში შენობა რამდენიმე წლით დაეთმო იძულებით გადაადგილებულ პირებს.<br><br>2000-იანი წლების დასაწყისიდან შენობა უფუნქციოდაა დატოვებული, ამეამად ის ემიჯნება სამხედრო დანიშნულების ობიექტს და შესაბამისად მისი განვითარება შეზღუდულია. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 11 | ყოფილი კანტორის შენობა ორსანტიაში | | |
| | მისამართი:<br><br>დავით აღმაშენებლის ქუჩა, სოფელი ორსანტია<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.24.44.431<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>438 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>3080 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი კანტორის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ქვემო ორსანტიაში ცენტრალური გზის პირას, ზუგდიდიდან 11 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ვიზუალური დათვალიერებით მისი მდგომარეობა დამამაყოფილებელია.<br><br>თავდაპირველად შენობა წარმოადგენდა სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრს და აქვე იყო განთავსებული სალარო. ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 12 | ყოფილი პროფკავშირების კულტურის სახლის შენობა ორსანტიაში | | |
| | მისამართი:<br><br>დავით აღმაშენებლის ქუჩა, სოფელი ორსანტია<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.24.46.407<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1400 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>3661 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი პროფკავშირების კულტურის სახლის შენობა სავარაუდოდ 1960-იანი წლებშია აშენებული. ის სოფელ ორსანტიაში.ც ენტრალური გზის პირას, ზუგდიდიდან 11 კილომეტრში მდებარეობს და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა ნაგებია კარკასული რკინაბეტონის კონსტრუქციით. ვიზუალური დათვალიერებით შენობა მეტ-ნაკლებად მდგრადია. ორსართულიანი შენობა გარედან შელესილია, ღიობებს დეკორატიული ჩარჩო შემოუყვება. ფანჯრების უმრავლესობაში შუშები ჩამტვრეულია.<br><br>შენობა თავდაპირველად კულტურის სახლს წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა კულტურული ღონისძიებები მათ შორის კინო ჩვენებები.<br><br>ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხოლო მისი უკანა მხარე შინაური ცხოველების სადგომადაა გამოყენებული. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 13 | ყოფილი სოფლის კლუბის შენობა კახათში | | |
| | მისამართი:<br><br>სოფელი კახათი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.17.42.484<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>850 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>4661 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | კახათის ყოფილი კლუბი აშენებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.  ენობა მდებარეობს სოფელ კახათში, ზუგიდიდან 11 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ნაგებობა ერთ სართულიანია. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობა კონსტრუქციულად მყარია, თუმცა საჭიროებს სრულმასშტაბიან რეკონსრუქციას.<br><br>შენობის ფასადი სრულად არის დაფარული მცენარეებით.<br><br>შენობაში განთავსებულია დიდი დარბაზი სადაც სცენაც ყოფილა.  აღნიშნული დარბაზის ორივე მხარეს სდევს ფანჯრები. დარბაზის იატაკი ამეამად მიწის დონემდეა დაწეული. ნაგებობის დამხმარე სივრცეებში ჩანს ხის იატაკი.<br><br>შენობა წარმოადგენდა სოფლის კლუბს, რომელშიც იმართებოდა კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები, მათ შორის კინოჩვენებები.<br><br>შენობა ამეამად უფუნქციოა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 14 | ყოფილი ამბულატორიის შენობა კახათში | | |
| | მისამართი:<br><br>სოფელი კახათი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.17.42.569<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>800 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>2089 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი ამბულატორია დაახლოებით აშენებულია 1960-იან წლებში, მდებარეობს სოფელ კახათში, ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 10 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა, აშენებულია აგურით და გარედან შელესილია. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობა კონსტრუქციულად მეტნაკლებად მყარია, თუმცა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. მორღვეულია სართულშუა გადახურვები, აკლია კარ-ფანჯრები, ასევე ნაწილობრივ მოშლილია შიდა ტიხრები და სახურავი.<br><br>ნაგებობას მიმზიდველ და რომანტიულ ელფერს ანიჭებს მთავარი ფასადის მარჯვენა მარჯვენა ჩამოშლილ კუთხეზე არსებული ხე, რომლის ტოტებიც იმეორებენ ნაგებობის კონტურს მისი მდგომარეობის მიუხედავად.<br><br>1990-იან წლებში შენობა დათმობილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებული პირთა ოჯახებს.<br><br>ამეამად შენობა უფუნქციოა და საჭიროებს რეაბილიტაციას. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 15 | ყოფილი რესტორნის შენობა რუხში | | |
| | მისამართი:<br><br>9 აპრილის ქუჩა, სოფელი რუხი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.10.42.210<br><br>საკუთრების ფორმა:<br>კერძო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1800 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>50185 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი ამბულატორია დაახლოებით აშენებულია 1960-იან წლებში, მდებარეობს სოფელ კახათში, ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, ზუგიდიდან 10 კილომეტრში. შენობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა, აშენებულია აგურით და გარედან შელესილია. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ შენობა კონსტრუქციულად მეტნაკლებად მყარია, თუმცა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. მორღვეულია სართულშუა გადახურვები, აკლია კარ-ფანჯრები, ასევე ნაწილობრივ მოშლილია შიდა ტიხრები და სახურავი.<br><br>ნაგებობას მიმზიდველ და რომანტიულ ელფერს ანიჭებს მთავარი ფასადის მარჯვენა მარჯვენა ჩამოშლილ კუთხზე არსებული ხე, რომლის ტოტებიც იმეორებენ ნაგებობის კონტურს მისი მდგომარეობის მიუხედავად.<br><br>1990-იან წლებში შენობა დათმობილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებული პირთა ოჯახებს.<br><br>ამჟამად შენობა უფუნქციოა და საჭიროებს რეაბილიტაციას. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 16 | ყოფილი ადმინისტრაციული შენობა ტყაიაში | | |
| | მისამართი:<br><br>გამსახურდიას ქუჩა, სოფელი ტყაია<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.01.49.037<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>726 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>5000 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი ადმინისტრაციული შენობა 1970-80-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ტყაიაში, გამსახურდიას ქუჩაზე, გზის პირას. შენობა წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.<br><br>ორსართულიან შენობაში განთავსებულია საკონცერტო დარბაზი, რომლის ჭერი და იატაკი ნაწილობრივ დაზიანებულია. გარდა დარბაზისა, მას გააჩნია დამხმარე ოთახები, რომელიც განთავსებულია მეორე სართულზე. ფასადის მთელ სიგრძეზე მიუყვება აივანი. ვიზუალური დათვალიერებით შენობა კონსტრუქციულად მდგრადია.<br><br>დაწყებულია ეზოს კეთილმოწყობა, რომელის ფარგლებშიც უკვე აღჭურვილია ბაღის სკამებითა და სანაგვე ურნებით.<br><br>საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ის წარმოადგენდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს.<br><br>ამჟამად შენობა არის უფუნქციო, თუმცა მისი ეზო გამოყენებულია სარეკრეაციო სივრცედ. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 11 | ყოფილი კოლმეურნეობის შენობა ჯუმში | | |
| | მისამართი:<br><br>კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა N5, სოფელი ჯუმი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.11.45.622<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1200 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>2731 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჯუმში, ზუგდიდიდან 7 კილომეტრში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა ნაგებია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. ვიზუალური დათვალიერებით, შენობის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.<br><br>შენობის თავდაპირველი ეზო, ამჟამად გაყოფილია, რომლის ნაწილზეც აშენებულია საბავშვო ბაღი და განთავსებულია საბავშვო გასართობი მოედანი.<br><br>ამჟამად შენობის ნაწილი დათმობილი აქვს სოფლის ადმინისტრაციას, ასევე, შენობის პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში განთავსებულია სტომატოლოგიური კლინიკა. |  |

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 18 | ყოფილი კულტურის სახლის შენობა ჯიხაშკარში | | |
| | მისამართი:<br><br>კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, ჯიხაშკარი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.05.42.037<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1500 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>6630 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br>: | ჯიხაშკარის კულტურის სახლი სავარაუდოდ 1970-80-იან წლებშია აშენებული. ის მდებარეობს სოფელ ჯიხაშკარში საავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 11 კილომეტრში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>გეგმაში სწორკუთხა, ორსართულიანი შენობა აშენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციით. გარედან შენობა შელესილია. პირველი სართული გარე კონტურიდან ერთი მალითაა შეწეული, რაც ხელს უწყობს მეორე სართულის აქცენტირებას, რომელიც თავის მხრივ მთავარი ფასადის მხრიდან დაყრდნობილია პირველ სართულზე მოწყობილ სწორკუთხა სვეტებს და მოწყობილია აივანი.<br><br>შენობა არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშია: ერთი შეხედვით სტანდარტული პროექტის მიხედვითაა აშენებული, თუმცა გააჩნია ინდივიდუალური მახასიათებლები – მოწყობილია ვიტრაჟული გალერეები პირველი სართულის დონეზე, საყრდენ სვეტებთან ერთად საყრდენად გამოყენებულია ფუნქციური და არქიტექტურული ელემენტები. შენობის ეზოში მოწყობილია დეკორატიული გამწვანება. ვიზუალური დათვალიერებით, შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.<br><br>კულტურის სახლის ეზოს განაპირას (ამჟამად სხვა საკადასტრო ერთეულია), ხარების სახელობის ტაძარია, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ უნდა იყოს აშენებული. ეზოები ფიზიკურად არ არის გამიჯნული.<br><br>1990-იანი წლების დასაწყისში შენობამ თავდაპირველი ფუნქცია დაკარგა. ამჟამად, შენობის ნაწილში განთავსებულია საბავშვო ბაღი. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 19 | ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობა ჯიხაშკარში | | |
| | მისამართი:<br><br>კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, ჯიხაშკარი<br>საკადასტრო კოდი:<br>43.05.41.166<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>550 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>2109 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br><br>: | სავაჭრო ცენტრი 1980-იან წლებშია აშენებული. ის სოფელ ჯიხაშკარში სავტომობილო გზის პირას, ზუგდიდიდან 17 კილომეტრში მდებარეობს და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ერთსართულიანი შენობა აშენებულია რკინაბეტონით. ვიზუალური დათვალიერებით, შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ნაგებობის წინა ფასადი სრულად შემინული ყოფილა, ხოლო გვერდითა ფასადები – ნაწილობრივ. შენობის შიდა სივრცე წინა მხარეს ერთიანია, ხოლო უკანა მხარეს არის რამოდენიმე სათავსო და ადმინისტრაციული ოთახი. შენობას აქვს უკანა ეზო, სადაც დეკორატიული აუზი ყოფილა.<br><br>ობიექტის გვერდით გაყვანილია არხი, რომელიც ძალიან ახლოსაა შენობასთან. არხი აზიანებს გრუნტს, რომგორც ჩანს გასულ წლებში ნაპირი გაბიონებით გაუმაგრებიათ.<br><br>ობიექტმა 1990-იან წლებში დაკარგა თავისი ფუნქცია და დღემდე უფუნქციოდაა.<br><br>. |  |

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 20 | ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში | | |
| | მისამართი:<br><br>მ. ლომაიას ქუჩა N4, სოფელი ნარაზენი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.12.42.050<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>2300 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>5348 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br>: | ნარაზენის ყოფილი კულტურის სახლი სავარაუდოდ აშენებულია 1960-1970-იან წლებში. შენობა მდებარეობს სოფელ ნარაზენში ცენტრალური გზის პირას. ზუგდიდიდან 15 კილომეტრში და წარმოადგენს სსიპ ზუგდიდის მუნიიპალიტეტის საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა ნაგებია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით.  ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ  კონსტრუქცია მდგრადია. სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია. შენობას თითქმის სრულად აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი იერსახე, განსაკუთრების კარგად არის შენარჩუნებული ინტერიერი. კედლები ხის პანელებით არის მოპირკეთებული, რომლის მდგომარეობაც საკმაოდ კარგია, ასევე ინტერიერში დეკორის სახით გვხვდება ხელნაკეთი კერამიკული ელემენტები, ასევე შენარჩუნებულია ავეჯისა და ინვენტარის დიდი ნაწილი. შენობაში არის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომლის მდგომარეობაც ასევე საკმაოდ კარგია, კარგ მდგომარეობაშია თავად სცენაც. შენობის მეორე სართულზე არის ადმინისტრაციული ოთახები და დიდი ვერანდა.<br><br>კულტურის სახლი თავდაპირველად ემსახურებოდა, როგორც სოფელ ნარაზენს, ასევე მიმდებარე სოფლებსაც.<br><br>ამჟამად შენობაში მოქმედებს სოფლის ბიბლიოთეკა, ასევე საკონცერტო დარბაზში პერიოდულად ტარდება კულტურული აქტივობები და რეპეტიციებს გადის ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი. |  |

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 21 | ყოფილი სტამბის შენობა ზუგდიდში | | |
| | მისამართი:<br><br>ილია ჭავჭავაძის ქ. 6, ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.42.548<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>2200 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>4519 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br><br>: | სტამბის შენობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. გარე სივრცეში შემორჩენილი დანადგარები და მცირე ტექნიკური საშუალებები, მოწმობს რომ სტამბაში იწარმოებოდა მსხვილი პოლიგრაფიული პროდუქცია.<br><br>შენობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში ე.წ.ფაიფურის დასახლებაში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ნაგებობა დაყოფილია ორ ნაწილად და წარმოდგენია სამ და ორსართულიან ფლიგელებად. შენობა აშენებულია შერეული მასალით, მისი ფასადი არის გალესილი.<br><br>ვიზუალური დათვალიერებით, ობიექტი არასახარბიელო მდგომარეობაშია.<br><br>ორსართულიან ნაგებობას გარე ფასადზე სდევს დიდი ვიტრაჟული დატიხრული ფანჯრები, ხოლო ადმინისტრაციულ შენობაზე შენარჩუნებულია ძველი ხის ფანჯრების ჩარჩოები, რომლებიც ატარებს გამორჩეულ ხასიათს – რკალისებრი მოჩარჩოება სძენს თავისებურ ხიბლს. სამსართულიანი ფლიგელის გადახურვა ორქანობიანია, ხოლო ორსართულიანი ფლიგელი ბრტყელი გადახურვითაა დასრულებული. შენობაში და მის მიმდებარედ ჩანს სხვადასხვა სასტამბო დანადგარი, რომელიც უფუნქციოდ არის მიტოვებული.<br><br>1990-იანი წლებიდან შენობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ცხოვრობენ. |  |

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 22 | ყოფილი ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I კორპუსი ზუგდიდში | | |
| | მისამართი:<br><br>უნივერსიტეტის ქუჩა N1, ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.42.527<br><br>საკუთრების ფორმა:<br>კერძო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>3389. 85 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>6101 მ2<br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br><br>: | ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I და II კორპუსები აშენებულია 1984 წელს. ისინი მდებარეობს ქ. ზუგდიდში და წარმოადგენს კერძო საკუთრებას.<br><br>შენობები 5 სართულიანია და ნაგებია რკინაბეტონის კარკასით, ხოლო საკედლე მასალად გამოყენებულია ბლოკი. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ ორივე შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, და როგორც ჩანს ბოლო წლებშია გარემონტებული. საფასადე ფანჯრების უმეტესობა არის მეტალოპლასტმასის.<br><br>1992-93 წლებიდან შენობის ნაწილი დათმობილი აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს.<br><br>* ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (ზდუ) 1991 წელს დაარსდა. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროის სამეგრელოში. უნივერსიტეტს აკრედიტაცია 2012 წელს შეუწყდა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 23 | ყოფილი ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) II კორპუსი ზუგდიდში | | |
| | მისამართი:<br><br>ილია ჭავჭავაძის ქუჩის მეორე შესახვევი №2<br>ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.42.275<br><br>საკუთრების ფორმა:<br>კერძო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>3445.85 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>2605 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br><br>: | ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (ზდუ) I და II კორპუსები აშენებულია 1984 წელს. ისინი მდებარეობს ქ. ზუგდიდში და წარმოადგენს კერძო საკუთრებას.<br><br>შენობები 5 სართულიანია და ნაგებია რკინაბეტონის კარკასით, ხოლო საკედლე მასალად გამოყენებულია ბლოკი. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ ორივე შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, და როგორც ჩანს ბოლო წლებშია გარემონტებული. საფასადე ფანჯრების უმეტესობა არის მეტალოპლასტმასის.<br><br>1992-93 წლებიდან შენობის ნაწილი დათმობილი აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს.<br><br>* ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (ზდუ) 1991 წელს დაარსდა. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროის სამეგრელოში. უნივერსიტეტს აკრედიტაცია 2012 წელს შეუწყდა |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 24 | ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა ზუგდიდში | | |
| | მისამართი:<br><br>სოხუმის ქუჩა N2, ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.49.102<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>5000 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>9714 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილი შენობა სავარაუდოდ მეოცე საუკუნის ბოლო წლებშია აშენებული. ის მდებარეობს ზუგდიდის ცენტრში, ტექნოპარკის მიმდებრედ. შენობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.<br><br>ოთხსართულიანი შენობა, გეგმაში რუსული პ-სებრი ფორმისაა. შენობა გარედან შელესილია. ვიზუალური დათვალიერებით შენობის მდგომარეობა სტაბილურია.<br><br>შენობას გარდა სალექციო და საცხოვრებელი სივრცეებისა, გააჩნია დიდი საორტდარბაზი, რომელსაც მარჯვენა ფლიგელში მესამე-მეოთხე სართული უჭირავს.<br><br>შენობაში განთავსებული იყო ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯი. 1996 წელს შენობაში ასევე განთავსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი.<br><br>მოგვიანებით შენობის ნაწილი დაეთმო იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს.<br><br>ამჟამად შენობის უმეტესი ნაწილი უფუნქიოა, ხოლო ნაწილში ჯერ კიდევ ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები.<br><br>*პოლიტექნიკური კოლეჯი 1930 წელს დაარსდა, ხოლო ფუნქციონირება 2008 წელს შეწყვიტა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 25 | ყოფილი საავადმყოფოს შენობა კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი | | |
| | მისამართი:<br><br>ბესარიონ ჯანაშიას ქუჩა, ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.62.151<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>5500 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>1051 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | შენობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში კომბინატის დასახლებაში  და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>შენობა სავარაუდოდ 1970-80-იან წლებში აშენდა.<br><br>ოთხსართულიანი შენობა, არის მიტოვებული ნახევრად მშენებარე მდომარეობაში, დათვალიერების შედეგად ჩანს რომ სამშენებლო სამუშაოები არ არის დასრულებული. შენობა აშენებულია რკინა ბეტონის კონსტრუქციით, ფასადის კედლები ამოყვანილია აგურითა და მსხვილი ბლოკით, ფასადის კედლები არ არის გალესილი. შენობა გადახურულია ორქანობიანი სახურავით და დაფარულია ლითონის ფურცლით.<br><br>ამჟამად შენობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ცხოვრობენ. |  |

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 26 | ყოფილი სარეაბილიტაციო ცენტრი კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი | | |
| | მისამართი:<br><br>ბესარიონ ჯანაშიას ქუჩა N5, ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.61.075<br><br>საკუთრების ფორმა:<br>კერძო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>1578 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>3323 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან: | სარეაბილიტაციო ცენტრის შენობა აშენებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. შენობა მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში და წარმოადგენს კერძო საკუთრებას.<br><br>ორსართულიანი შენობა მოპირკეთებულია ქვის ფილებით. შენობა არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ობიექტია: შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია დიდი შიდა ეზო. ცენტრალურ ფასადი დეკორირებულია – მთელ სიგრძეზე მიუყვება „ამობრუნებული თაღედი", რომლის ფორმას იმეორებს ღიობები. მისი ცენტრალური ნაწილი დათმობილი აქვს მთავარ შესასვლელს რომელიც გადახურულია მასიური წინფრით. ამავე ფასადზეა განთავსებული ქართულ და ინგლისურ ენოვანი წარწერა შენობის ფუნქციის შესახებ. გვერდითა ფასადები შედარებით სადაა, თუმცა ამ ფასადებზეც გვხვდება აქცენტები – სწორკუთხა ღიობებს ლუნეტების რიგი ენაცვლება.<br><br>ზუგდიდის კომბინატის სარეაბილიტაციო ცენტრი აღჭურვილი ყოფილა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობით. აქ ასევე ფუნქციონირებდა ლაბორატორია.<br><br>შენობა ამეამად უფუნქციოა. |  |

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა

| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
|---|---|---|---|
| 27 | **ყოფილი სპორტკომპლექსი კომბინატის დასახლებაში, ზუგდიდი** | | |
| | მისამართი:<br><br>ბესარიონ ჯანაშიას ქუჩა №2, ქალაქი ზუგდიდი<br><br>საკადასტრო კოდი:<br>43.31.62.142<br><br>საკუთრების ფორმა:<br>სახელმწიფო საკუთრება<br><br>შენობის მიახლოებითი ფართობი:<br>3493 მ2<br><br>მიწის ნაკვეთის ფართობი:<br>5000 მ2<br><br>ბმული მონაცემთა ბაზასთან:<br><br>: | სპორტკომპლექსის შენობა სავარაუდოდ მეოცე საუკუნის 80-იან წლების პირველ ნახევარშია აშენებული. სამ სართულიანი შენობა, მდებარეობს ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.<br><br>ქუჩის მხარესშენობის თითქმის სრულ ფასადს ფარავს მოზაიკა. ვიზუალური დათვალიერებით შენობა მყარია.<br><br>სპორტკომპლექსი ემსახურებოდა ადგილობრივ და ჩამოსულ სპორტსმენებს. აქ განთავსებული იყო კალათბურთის მოედანი, შტანგებისა და ტრენაჟორების დარბაზი.<br><br>ამჟამად შენობა უფუნქციოა. |  |

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარება<br>პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ობიექტების მონაცემთა ბაზა | | | |
|---|---|---|---|
| N | შენობის მონაცემები | შენობის აღწერა | ფოტო |
| 28 | ყოფილი ბანაკი ჭკადუაში | | |
| | ბანაკი<br>: | სოფელი ჭკადუაში მდებარეობს ზუგდიდიდან დაახლოებით 10 კილომეტრის დაშორებით. სადაც 1970-იან წლებში აშენდა ბანაკი, რომელიც განკუთვნილი იყო დამსვენებლებისთვის ძირითადად კი ახალგაზრდებისთვის უცნობია თუ რამდენ ადამიანს იტევდა იგი. დღეისათვის ხუთივე კორპუსი ათვისებბული აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს. |  |

# შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა

